ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი

4

2013

რედაქტორები:	გიორგი სანიკიძე
	ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:	მირანდა ბაშელეიშვილი
	თამთა ბოკუჩავა
	მარიამ გურეშიძე
	სიმონ გურეშიძე
	ინგა ინასარიძე
	თინათინ კუპატაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
მისამართი: აკად. გ. წერეთლის 3, 0162 თბილისი
ტელ./ფაქსი: (+995 32) 223 31 14
ელ–ფოსტა: giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge
http://www.iliauni.edu.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

მაჰმუდ აჰმადინეჟადის რვაწლიანი მმართველობის საგარეო
პოლიტიკის შეფასებები 4

მირანდა გაშელეიშვილი

ირანი და სირიის კრიზისი 10

ინგა ინასარიძე

კონფესიური დაპირისპირების ფაქტორი
არაბულ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებში 14

სიმონ გურეშიძე

ეგვიპტე გზაგასაყარზე 23

მარიამ გურეშიძე

„ქურთების ფაქტორი“ ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ პოლიტიკაში 29

თინათინ კუპატაძე

აქბარ განჯი - მშვიდობისთვის მებრძოლი
თანამედროვე ირანელი ინტელექტუალი 33

ბერნარდ ლუისი

ირანი ისტორიაში (თარგმნა გიორგი სანიკიძემ) 39

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

მაჰმუდ აჰმადინეჟადის რვაწლიანი მმართველობის საგარეო პოლიტიკის შეფასებები

(პოლიტიკა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა მიმართ)

2013 წლის 4 აგვისტოს შედგა ირანის ისლამური რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის ჰოჯათოლესლამ ჰასან რუჰანის ინაუგურაცია, რითაც ოფიციალურად დასრულდა მაჰმუდ აჰმადინეჟადის 8–წლიანი (2005–2013წწ) პრეზიდენტობის პერიოდი.

ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები და პოლიტიკოსები ახალი პრეზიდენტის სამომავლო გეგმებსა და საშინაო თუ საგარეო–პოლიტიკურ ნაბიჯებზე ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდისა და გათვლების დონეზე საუბრობენ, სამაგიეროდ, ინტენსიურად მიმდინარეობს როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე ყოფილი პრეზიდენტის 8–წლიანი მოღვაწეობის ანალიზი,

ასე მაგალითად, რეფორმატორთა ფრთის ყოველკვირეული ჟურნალი „ასემან“–ი 3 აგვისტოს 53–ე ნომერს სპეციალურად უძღვნის მაჰმუდ აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის შედეგებს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ და კულტურულ სფეროში (ხელოვნება, ლიტერატურა, კინო) ნიშანდობლივი საერთო სათაურით „მაჰმუდის მემკვიდრეობა“, რომელშიც საკუთარ აზრს, უმეტესად კრიტიკულს და უარყოფითს გამოხატავენ ზემოხსენებული სფეროების ცნობილი ირანელი ექსპერტები და მოღვაწეები. ამ 146–გვერდიანი სპეცნომრის ანალიზს ახლა არ შევუდგებით. მივუთითებთ მხოლოდ სეიედ მოჰამად ხათამის პრეზიდენტობის პერიოდში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე მყოფი მოჰამად სადრის იმ შეხედულებაზე, რომ მაჰმუდ აჰმადინეჟადის მე–9 და მე–10 მთავრობებში საგარეო საქმეთა სამინისტრო ფაქტიურად ჩამოშორებული იყო ძირითად საერთაშორისო საქმეებს და პრეზიდენტისა და მისი უახლოესი გარემოცვის მიერ საგარეო პოლიტიკის ვოლუნტარისტულმა წარმოებამ ირანი მიიყვანა პარალიჩამდე როგორც რეგიონალურ, ასევე საერთაშორისო ასპარზეზზე (გვ.64). საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი უპატივცემულო დამოკიდებულების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს 2010 წლის დეკემბერში სენეგალში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი საგარეო საქმეთა მინისტრის მანუჩეჰრ მოთაქის სკანდალური გადაყენება თანამდებობიდან, რის თაობაზეც მინისტრმა გაიგო შოკში ჩავარდნილი თავისი სენეგალელი მასპინძლებისაგან. ამით მაჰმუდ აჰმადინეჟადმა დაარღვია საგარეო უწყებაში 1981 წლიდან ჩამოყალიბებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც საგარეო საქმეთა მინისტრები ბოლომდე მიჰყვებოდნენ მთავრობის მეთაურებს და პოსტს ინარჩუნებდნენ მინიმუმ 8 წლის ანუ ორი საპრეზიდენტო ვადის მანძილზე – ალიაქბარ ველაიათის სულაც 16 წელი ეკავა ეს პოსტი, აქედან ბოლო 8 წელი – ალიაქბარ ჰაშემი რაფსანჯანის პრეზიდენტობის პერიოდში 1989–1997 წწ, ხოლო ქამალ ხარაზი 1997–2005 წლებში უცვლელად ხელმძღვანელობდა საგარეო უწყებას სეიედ მოჰამად ხათამის მთავრობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი პრეზიდენტი ჰასამ რუჰანი აპირებს საგარეო საქმეთა სამინისტროს როლის გაძლიერებას ირანისათვის მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებში.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი მოჰამად ჯავად ზარიფი გაუძღვებოდა ირანის ბირთვული პროგრამის თაობაზე მოლაპარაკებებს 5+1 ქვეყნების წარმომადგენლებთან, მაშინ, როდესაც აქამდე დასავლეთთან მთავარ მომლაპარაკებლად გამოდიოდა ირანის ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივანი საიდ ჯალილი. 5 სექტემბერს ჰასან რუჰანიმ კიდეც გამოსცა განკარგულება ირანის ბირთვული დოსიეს თაობაზე მოლაპარაკებების წარმოების უფლებამოსილების საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ.

ამ მცირე შესავლის შემდეგ ყურადღებას გავამახვილებთ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა მიმართ მაჰმუდ აჰმადინეჟადის მიერ გატარებულ პოლიტიკურ კურსზე, რომლის ერთერთ ავტორიტეტულ შემფასებლადაც გამოდის თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი ჰასან ბეჰეშთიფური. „ირანისა და ევრაზიის კვლევითი ინსტიტუტის“ (IRAS) საინფორმაციო–ანალიტიკურ საიტზე ა.წ. 3 და 13 აგვისტოს გამოქვეყნდა ჰ.ბეჰეშთიფურის ორნაწილიანი სტატია **“ბატონი აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის პერიოდში ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებთან ირანის ურთიერთობის ანალიზი“**.

ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ამ სტატიიდან:

„ჩვენი მსჯელობა ძირითადად ეხება 2005–2013 წლებს, ანუ ბატონ აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის ორ 4–წლიან პერიოდს. მან ამ დროს იმუშავა ორ საგარეო საქმეთა მინისტრთან (იგულისხმებიან მანუჩეჰრ მოთაქი და ალიაქბარ სალეჰი –ნ.ნ.), რომლებიც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხასიათისანი იყვნენ, მაგრამ იმ გუნდების შემადგენლობა, რომელიც ამ ორივე მინისტრთან მუშაობდა, თითქმის არ გამოირჩეოდა ერთი მეორისაგან. უმთავრესი გეზი, რასაც ბატონ აჰმადინეჟადის მთავრობა ადგა, ის იყო, რომ პრეზიდენტის მოწოდებით ირანის მიდგომები და პოლიტიკა საგარეო სფეროში თავდაცვითი პოლიტიკიდან უნდა გარდაქმნილიყო თავდაცვით–შემტევ პოლიტიკად. ეს გახდა მეცხრე და მეათე მთავრობების საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპი. ჩვენ წინა პრეზიდენტების დროს საგარეო პოლიტიკაში მუდამ გვეკავა თავდაცვითი პოზიცია და ვამტკიცებდით, რომ ჩვენ ასეთები არ ვართ, მაგალითად, ტერორისტები არ ვართ. მაგრამ ბატონ აჰმადინეჟადის პერიოდში დამკვიდრებული შემტევი პოლიტიკის საფუძველზე, მისგან ვისმენდით მტკიცებებს, რომ, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ან სხვა საკითხების თვალსაზრისით ისეთი ქვეყნების მიმართ, როგორიც არიან კანადა, ინგლისი და საფრანგეთი, არსებობს კითხვები და, მაგალითად, ჩვენ მათთვის უნდა წაგვეკითხა ნოტაციები ადამიანის უფლებათა სფეროში იქ არსებული პრობლემების თაობაზე. რასაკვირველია, ბატონ აჰმადინეჟადს თავდაცვაც არ ჰქონდა გვერდზე გადადებული. იგი თავის პოლიტიკაში მიმართავდა როგორც თავდაცვას, ისე შეტევას.

ამგვარი პოლიტიკის ყველაზე მკაფიო ნიმუში იყო ჰოლოკოსტის თემა, რომელსაც მან ზღაპარი უწოდა და ჩათვალა, რომ მის რეალობაში ეჭვის შეტანისათვის არანაირი დაბრკოლება არ არსებობდა. მაჰმუდ აჰმადინეჟადის მთავრობის შემტევმა პოლიტიკამ უკიდურესად გააფუჭა ირანის ურთიერთობები დასავლეთთან. ამგვარი მიდგომის მიზეზით ბატონი აჰმადინეჟადი გადამისამართდა ლათინური ამერიკის, აფრიკისა და აზიის სახელმწიფოებთან ურთიერთობაზე, განსაკუთრებით ეს ეხებოდა ცენტრალური აზიის ქვეყნებს, რადგანაც ისინი ემეზობლებიან ირანს. თუ ბატონი რაფსანჯანის პრეზიდენტობის პერიოდში (1989-1997წწ - ნ.ნ.) ვამბობდით, რომ ეს არეალი (ცენტრალური აზია და კავკასია) წარმოადგენს ირანის ეკონომიკურ სფეროს, ხოლო ბატონი ხათამის პრეზიდენტობის დროს (1997-2005 წწ. - ნ.ნ.)

ვაცხადებდით, რომ ესაა ჩვენი ცივილიზაციისა და კულტურის სფერო, ამის საპირისპიროდ ბატონი აჰმადინეჟადის პერიოდში ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონი გადაიქცა არა კულტურული და ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მოთამაშისათვის აუცილებელ ასპარეზად. რადგან ამ პერიოდში ჩვენ დასავლეთთან ურთიერთობა არ გაგვაჩნდა, გვინდოდა პოლიტიკა იქ გაგვაქტიურებინა, მაგრამ სირთულე სწორედაც იმაში მდგომარეობდა, რომ ამ რეგიონში ჩვენი გავლენის წონა ვერ უტოლდებოდა ამერიკის და ევროპის გავლენის წონას და ჩვენ ვერ შევძელით ამ პრობლემის გადაწყვეტა, თუმცა კი ამ რეგიონში მაინც შევასრულეთ გარკვეული როლი.

ახლა ვნახოთ, რა შედეგი მოიტანა ამ რეგიონში ბატონი აჰმადინეჟადის ქმედებამ? ყველა ურთიერთობისათვის საჭიროა ორივე მხრიდან ამ ურთიერთობის დამყარების ნება–სურვილის არსებობა. აქედან გამომდინარე, თუკი ამ ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარების საქმეში ორმხრივი სურვილი და ნება გამოიკვეთებოდა, ირანის საქმე ძალიან გაიოლდებოდა და წარმატებულიც იქნებოდა. მაგრამ სამწუხაროდ დასავლეთის ზეწოლისა და წინააღმდეგობების მიზეზით, რათა ამ ქვეყნებს არ გაეფართოვებინათ ურთიერთობა ირანთან, ბატონი აჰმადინეჟადის მცდელობანი ჩიხში ექცეოდა და, სადაც კი რაიმე შესაძლებლობა ჩნდებოდა, ჩვენ ვერ ვახერხებდით მის გამოყენებას. ამ სახელმწიფოებთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ ხსენებული პერიოდის განმავლობაში უმეტესად თეირანის მხრიდან იყო მოძრაობა, ხოლო ისინი ძალიან არ იწუხებდნენ თავს ირანთან ურთიერთობების დამყარებით.

ზოგადად რომ ვთქვათ, ბატონი აჰმადინეჟადის მმართველობის პერიოდში ამ ქვეყნებთან ურთიერთობებში ყურადღება უნდა მიექცეს სამ მომენტს: 1. არსებობდა ირანის პოლიტიკური სურვილი ამ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დასამყარებლად; 2. ძალიან მკაფიოდ შეიმჩნეოდა დასავლური სახელმწიფოების პოლიტიკური ზეწოლა ამ ურთიერთობებზე; 3. შესამჩნევი იყო ამ რეგიონის ქვეყნების მხრიდან ირანთან ურთიერთობის დამყარებისა და გაფართოების სურვილის არარსებობა. ამ განმარტებებისა და არსებული სიტუაციის წარმოდგენის შემდეგ ჩვენ ცალ–ცალკე და არგუმენტირებულად გავაანალიზებთ აღნიშნულ სახელმწიფოებთან ირანის ურთიერთობებს".

ჰოსეინ ბეჰეშთიფურის სტატიის პირველ ნაწილში აღწერილია ირანის ურთიერთობები თურქმენეთთან, ტაჯიკეთთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან და ყირგიზეთთან. აღსანიშნავია, რომ, თუ თურქმენეთსა და ტაჯიკეთს ავტორი თითო გვერდს უთმობს, დარჩენილი სამი ქვეყანის შემთხვევაში მხოლოდ თითო აბზაცით იფარგლება. ასე მაგალითად, ყაზახეთთან მიმართებაში ჰ.ბეჰეშთიფური წერს:

„ყაზახეთთან ჩვენი ურთიერთობის პოტენციალი იმის საშუალებას იძლევა, რომ ვითარება არსებულზე გაცილებით უკეთესი ყოფილიყო, მაგრამ კვლავაც იმავე პოლიტიკური ზეწოლისა და ამასთან დაკავშირებით გაჩენილი აზრთა სხვადასხვაობის მიზეზით პრობლემები გაგვაჩნია. მაგალითად, საბანკო ურთიერთობებში ჩვენ ვერ დავიყოლიეთ ყაზახეთი, რომ ამ ქვეყანაში დაფუძნებულიყო და ამუშავებულიყო ერთი ირანული ბანკის ფილიალიც კი. ჩვენც ვერ ვიმოქმედეთ სათანადოდ ურთიერთობების განვითარებისათვის. ყაზახეთთან ჩვენი ურთიერთობის დონე ძალიან შეზღუდულია. მართალია, ოფიციალური სტატისტიკა ამბობს, რომ მასთან ჩვენ 2 მილიარდ დოლარის ვაჭრობა გაგვაჩნია, მაგრამ რეალურად ნაკლები ჩანს".

სტატიის მეორე ნაწილში ავტორი ერთ ქვეთავში ათავსებს აზერბაიჯანსა და სომხეთს:

„ყველაზე მეტი ურთიერთობა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, გინდ დაძაბულობის თვალსაზრისით და გინდ ურთიერთობების გაფართოების თვალსაზრისით, მოდის ბატონი აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის პერიოდზე. ირანისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის

ურთიერთობა წარმოადგენს სიყვარულისა და სიძულვილის ურთიერთობას, რადგანაც ერთი მხრივ ამ ურთიერთობებში ირანმა მცდელობა არ დაიშურა და წინ წავიდა იქამდე, რომ ცალმხრივად გავაუქმეთ ვიზები და, ასე მაგალითად, ტურიზმის, სამედიცინო, პილიგრიმობისა და სხვა სფეროებში გავაფართოვეთ კიდეც ურთიერთობები (უნდა აღინიშნოს, რომ ირანის სახალხო დიპლომატიამ აქ კარგად იმუშავა და ვიზების გაუქმება გამზედაობას მოითხოვდა). მეორე მხრივ, ბაქო წნეხში მოვაქციეთ, რომ მათაც საპასუხოდ უნდა გაეუქმებინათ ვიზები. აზერბაიჯანმა ეს საქმე არ გააკეთა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ირანელები აზერბაიჯანში შეაგზავნიან სპეცსამსახურების მუშაკებს და ამ ქვეყანას დააყენებენ გადატრიალებისა და სხვა საფრთხეების წინაშე (გასათვალისწინებელია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტრუქტურა ჯერ კიდევ დაფუძნებულია „კა–გე–ბე“–ს ბაზაზე).

აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან მიმართებაში ბატონმა აჰმადინეჟადმა ორ ქვეყანას შორის კავშირების გაფართოვებისათვის თვალსაჩინო ღონისძიებები გაატარა, მაგრამ სამწუხაროდ ეს ნაბიჯები ცალმხრივი აღმოჩნდა და მოპირდაპირე მხარე (აზერბაიჯანი) საერთოდ არ განძრეულა. ბაქოს ეს გულგრილობა სამი მიზეზით იყო განპირობებული. პირველ რიგში უნდა ვახსენოთ მათი შეშფოთება ამ ქვეყნის წინააღმდეგ ირანის სპეცსამსახურების ქმედებების გამო. შემდგომ აღსანიშნავია ამერიკისა და ისრაელის ზეწოლა ბაქოზე ირანთან ურთიერთობებისაგან თავშეკავების მოთხოვნით, ხოლო მესამე მიზეზი გახლდათ აზერბაიჯანის იმგვარი არგუმენტაცია, რომ, რადგანაც ირანი თავად იმყოფება სანქციების ქვეშ, იგი მხოლოდ ამიტომ საკუთარი საჭიროებისათვის აძლევს ასეთ დივიდენდებს აზერბაიჯანს, და არა იმიტომ, რომ სურს აზერბაიჯანთან დაამყაროს მშვიდობიანი ურთიერთობანი.

აღსანიშნავია აზერბაიჯანთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, კერძოდ ის, რომ ირანმა თავისი ურთიერთობები სომხეთთან არათუ არ შეზღუდა, არამედ გააძლიერა კიდეც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აფართოვებდა რა ურთიერთობებს აზერბაიჯანთან, იმავდროულად ავითარებდა კავშირებს სომხეთთანაც ანუ ისე არ იქცეოდა, რომ აზერბაიჯანის გულის მოსაგებად სომხეთთან ურთიერთობები შეემცირებინა. აქაც საყურადღებო მომენტი ის გახლდათ, რომ სომხეთთან ურთიერთობების გაძლიერებისას რუსეთის პირისპირ აღმოვჩნდით. ამასთან დაკავშირებით ნიმუშად მოსატანია შემდეგი ფაქტი: ჩვენ სომხეთთან ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას ბუნებრივი აირის მიწოდების შესახებ და სწორედ ამ ხელშეკრულების განხორციელების ეტაპზე, როდესაც ჩვენ შეგვეძლო სომხეთისათვის გაზი გაგვეგზავნა (თავის მხრივ სომხეთს შეეძლო გაზი საქართველოსათვის მიეწოდებინა, ხოლო საქართველოდან ეს ხაზი ევროპისკენ გაგრძელებულიყო), იმის გამო, რომ რუსები ამ ხელშეკრულებაში არ ფიგურირებდნენ და ასეთი ვითარება მათთვის სრულიად მიუღებელი იყო, მოვიდნენ და მთლიანად იყიდეს ხელშეკრულებაში მონაწილე სომხური კომპანია. „გაზპრომმა“ შეიძინა ირანის პარტნიორი სომხური კომპანიის კუთვნილ აქციათა სრული პაკეტი და აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების შემრსულებელი მხარე რუსეთი გახდა, რომელმაც შემდგომ არ გააკეთა არაფერი ამ ხელშეკრულების განსახორციელებლად, განაცხადა რა, რომ ახლა ეს საქმე არ იყო პრიორიტეტული. ამ მიზეზით გადაიდო სომხეთში ბატონი აჰმადინეჟადის ვიზიტიც კი. ბატონი აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის პერიოდში ირანის ურთიერთობები განვითარდა როგორც სომხური, ასევე აზერბაიჯანული მიმართულებით, მაგრამ მათ შორის იმაში არსებობდა განსხვავება, რომ სომხური მხარე მიესალმებოდა ურთიერთობების გაფართოვებას, ხოლო აზერბაიჯანული მხარე არათუ მიესალმებოდა ამას, არამედ წინააღმდეგობასაც კი სწევდა.

ქართველი მკითხველისათვის უდავოდ საინტერესო უნდა იყოს ამ ირანელი მეცნიერისა და ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასებები ირან–საქართველოს ურთიერთობების თაობაზეც:

„იმის მიუხედავად, რომ ბატონ სააკაშვილს ჰქონდა ფართო ურთიერთობები ამერიკელებთან და დასავლელებთან და ის წარმოადგენდა ერთი ფერადი რევოლუციის პირმშოს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მისი თავდაცვის მინისტრი ისრაელის მოქალაქე იყო, დასავლეთთან ასეთი ფართო ურთიერთობების ფონზე იგი ცდილობდა, რომ ირანთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონოდა. საქართველოსთვის ამას რამდენიმე მიზეზით გააჩნდა მნიშვნელობა.

პირველი მიზეზი ის იყო, რომ რუსეთთან დაპირისპირების ზენიტში (იგულისხმება 2006 წლის დასაწყისი და არა 2008 წლის ზაფხული – ნ.ნ.), როდესაც ზამთარში შეწყდა რუსეთიდან საქართველოსათვის ბუნებრივი აირის გადაცემა, ირანმა მყისვე მიაწოდა გაზი საქართველოს და ამ კრიზისულ ვითარებაში დახმარება გაუწია სააკაშვილს. ირანის ასეთი ქმედება სააკაშვილისათვის ძალიან მნიშვნელოვანი და ფასეული იყო და ირანმაც მოიპოვა ავტორიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ ირანის ამ საქციელმა გაანაწყენა რუსები.

რა იყო ირანის მიმართ სააკაშვილის კეთილგანწყობის არსებობის მეორე მიზეზი? ფაქტია, რომ მან ამერიკის წინააღმდეგობის მიუხედავად განახორციელა ვიზიტი ირანში. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ირანმა მკაფიოდ განაცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთის დაპირისპირებაში ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და სცადა გამიჯნულიყო რომელიმე ერთი მხარისათვის პირდაპირი მხარდაჭერისაგან. ეს ქმედებაც სააკაშვილისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მთლიანობაში ირანი არ ჩაერთო ამ კონფლიქტში და ტაქტიკური თვალსაზრისითაც არანაირად არ ისარგებლა ამით.

მესამე მიზეზი იყო ორ ქვეყანას შორის უვიზო მიმოსვლის დაწესება, რაც ირანისათვის ორი სიკეთის მომტანი იყო. თბილისმა გაფართოვა ფოთის პორტის შესაძლებლობები, რომელიც არც აფხაზეთშია და არც აჭარაში და უშუალოდ საქართველოს ექვემდებარება (?! – ნ.ნ.). იქ ჩაიდო დიდი ინვესტიციები, რადგან თბილისს განზრახული აქვს, ის გახადოს შავი ზღვის დუბაი. ამგვარ ვითარებაში, ირანელთა უმეტესობამ, რომელთაც სანქციების გამო დუბაიში პრობლემები შეექმნათ და იქ მათ დაუხურეს ოფისები, პირი ქნა საქართველოსაკენ. მეორე მხრივ, ირანელი ტურისტები თურქეთში მოგზაურობის ნაცვლად გაემართნენ საქართველოში, ეს კი საქართველოსათვის დიდად შემოსავლიანი საქმე იყო. ამერიკელები ძალიან დააწვნენ სააკაშვილს და მას უთხრეს, რომ საქართველოს ეს ნაბიჯი ანეიტრალებს ირანის წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკის ერთ ნაწილს და სანქციებს ნაკლებად ეფექტურს ხდის. საქართველომაც ამერიკას მიაწოდა იმ ირანელთა სახელები და მონაცემები, რომელთაც ჩადეს კაპიტალი ფოთის პორტში და სხვა ადგილებში, მათ შორის თბილისშიც. ამის შემდგომ ცოტა ხნის წინ ვნახეთ, რომ საქართველოში დაიბლოკა ბევრი ირანელის საბანკო ანგარიშები. ამას კიდევ მალევე მოჰყვა ირანისათვის სავიზო რეჟიმის ხელახლა დაწესება. საქართველოსთან მიმართებაში ჯამში მაინც უნდა განვაცხადოთ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ირან–საქართველოს ურთიერთობებში შეიმჩნეოდა თვალსაჩინო და ღირსეული ზრდა“.

როგორ შეიძლება შეფასდეს ბატონი ბეჰეშთიფურის ეს შეხედულებები? პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ სტატიას ახასიათებს ირანში მოღვაწე ექსპერტთა უმეტესობისათვის დამახასიათებელი ზედაპირული მიდგომა. გაუგებარია ფოთის პორტის სტატუსის ავტორისეული შეფასება, საიდანაც უნდა დავასკვნათ, რომ აფხაზეთი და აჭარა საქართველოსაგან დამოუკიდებელი ერთეულები არიან. ჰ.ბეჰეშთიფურს გამორჩა ამერიკელთა დაკვეთით თბილისში ირანის მოქალაქის ამირჰოსეინ არდებილის დაკავებისა და შემდეგ მისი

აშშ–ში ექსტრადიციის ფაქტიც, რამაც ფაქტიურად გაყინა საქართველო–ირანის პოლიტიკური ურთიერთობები 2007 წლის შემოდგომიდან 2010 წლის დასაწყისამდე. თუმცა შეიძლება დავეთანხმოთ ავტორს იმ მოსაზრებაში, რომ დასავლელ პარტნიორთა უკმაყოფილების მიუხედავად, მ.სააკაშვილის ხელისუფლება, ისევე როგორც ეს ხდებოდა ე.შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, მეტ–ნაკლებად ახერხებდა ირანთან გარკვეული ბალანსის და ურთიერთობების გარეგნული სახის შენარჩუნებას. თანაც, ირანის მოქალაქეთათვის სავიზო რეჟიმის ხელახლა დაწესება საქართველოს ახალი მთავრობის გადაწყვეტილება იყო და არა უშუალოდ პრეზიდენტისა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ცოტა გაუგებარი ჩანს ავტორის ოპტიმისტური შეფასებები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დონის თაობაზე, როდესაც თავად ჰ.ბეჰეშთიფური მიუთითებს საქართველოს მხრიდან ირანთან უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულების ცალმხრივად შეჩერებასა და საქართველოში მოღვაწე ირანელი ბიზნესმენებისათვის მუშაობის პირობების გაუარესებაზე, რაც გამოიხატება მათი საბანკო ანგარიშების დაყადაღებასა და ოფისების დახურვაში. მით უმეტეს, რომ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მათთვის ვითარება დღითიდღე კიდევ უფრო მძიმდება.

სტატიის დასასრულს ჰასან ბეჰეშთიფური იძლევა ძირითადად ეკონომიკური ხასიათის რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისიწინებითაც ირანის ისლამურ რესპუბლიკას შეუძლია უფრო მაღალ დონეზე ასწიოს ურთიერთობები ცენტრალური აზიისა და კავკასიის სახელმწიფოებთან.

გამოყენებული მასალები:

http://www.iras.ir/prtevn8w.jh8ozi9bbj.html
http://www.iras.ir/prtjxme8.uqehhzsffu.html
„ასემან“ – საინფორმაციო–ანალიტიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ყოველკვირეული ჟურნალი (სპარსულ ენაზე). N53, 03.08.2013.

მირანდა ბაშელეიშვილი

ირანი და სირიის კრიზისი

სირიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ირანის ისლამურ რესპუბლიკას მკვეთრად გამოხატული პოზიცია აქვს: **ოფიციალური თეირანი მხარს უჭერს ბაშარ-ალ-ასადი რეჟიმს და სირიელ ხალხს და მიიჩნევს, რომ სირიაში მიმდინარე პროცესები პოლიტიკური გზით, გარე ძალების ჩარევის გარეშე უნდა მოგვარდეს.** ირანის ეს პოზიცია უცვლელად შენარჩუნდა 2013 წლის აგვისტოში ირანში ახალი აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების შემდეგაც. ამას რეალური საფუძველი გააჩნია: რეგიონში ირანის ერთადერთ მოკავშირეს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმი წარმოადგენს, რასაც პოლიტიკური იზოლაციის პირობებში ირანისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სირიის მოქმედი ხელისუფლების დამხობის შემთხვევაში, ირანი კარგავს არამარტო სტრატეგიულ მოკავშირეს რეგიონში, არამედ დერეფანს მეორე მოკავშირე ლიბანის „ჰეზბოლასთან“ და ირღვევა ე.წ. „წინააღმეგობის ხაზი სიონისტურ რეჟიმთან“, რაც დასავლეთს მნიშვნელოვნად გაუადვილებს ირანთან დაპირისპირებას.

აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში სირიაში აშშ-ის სამხედრო ინტერვენციის საფრთხესთან ერთად, თეირანმა ბაშარ ალ-ასადის მხარდაჭერა კიდევ უფრო გააქტიურა. სირიაში აშშ-ის შესაძლო სამხედრო ინტერვენციას გამოეხმაურნენ როგორც ირანელი პოლიტიკოსები, ასევე სამხედრო მაღალჩინოსნები.

ირანის **საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამად ჯავად ზარიფმა** დაგმო სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი. ირანელმა დიპლომატმა ოფიციალურად დაადანაშაულა სირიის ოპოზიცია ქიმიური იარაღის გამოყენებაში და აღნიშნა, რომ სირიის ოპოზიციური დაჯგუფებების მიზანს კონფლიქტისთვის საერთაშორისო ხასიათის მინიჭება წარმოადგენს. მოჰამად ჯავად ზარიფმა მინისტრად დანიშვნის შემდეგ რუს კოლეგასთან გახორციელებული პირველი სატელეფონო საუბარიც სირიის კრიზისს მიუძღვნა. მან სერგეი ლავროვთან საუბრისას აღნიშნა, რომ ირანმა და რუსეთმა სირიის საკითხის მოგვარების საკითხში ერთობლივი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს.

სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი დაგმო ირანის პრეზიდენტმა **ჰასან როუჰანიმაც** და მწუხარება გამოხატა, უდანაშაულო ხალხის დაღუპვის გამო.

ირანელი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, უფრო რადიკალური განცხადებები გააკეთეს სამხედრო მაღალჩინოსნებმა. აღსანიშნავია, რომ სირიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ირანელი სამხედრო მაღალჩინოსნები იშვიათად აკეთებენ კომენტარს, თუმცა ბოლო პერიოდის კრიზისის დაწყებასთან დაკავშირებით ეს ტენდენცია შეიცვალა. პირველი განცხადება **ირანის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ მასუდ ჯაზაირიმ** გააკეთა. მან სირიაში აშშ-ის მხრიდან სამხედრო ინტერვენცია „წითელი ხაზის“ გადალახვად შეაფასა, რაც ვაშინგტონს სირთულეებს მოუტანს.

ცოტა მოგვიანებით, სირიის კრიზისზე ისაუბრა ირანის **შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის მეთაურმა გენერალმა ფირუზ აბადიმ.** მან სირიის კონფლიქტის რეგიონულ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ სირიაში დასავლეთის სამხედრო ინტერვენცია ბევრ რეგიონულ და რეგიონსგარეთა ძალას შეუქმნის პრობლემას. ირანელმა გენერალმა აქცენტი რუსეთზე გააკეთა და სირიაში სამხედრო ინტერვენცია კავკასიაში რუსეთის

გავლენის დაკარგვის წინაპირობად დაასახელა - „აშშ-ს სირიაში სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში, რუსეთი კავკასიის თავდაცვით ხაზს დაკარგავს და იძულებული იქნება თავი მოსკოვის სიახლოვეს დაიცვას“. ფირუზ აბადიმ ისიც აღნიშნა, რომ სირიაში დასავლეთის ჩარევით, კმაყოფილები მხოლოდ „სიონისტები“ იქნებიან, ხოლო ომის შედეგები საზიანო იქნება არა მხოლოდ მუსლიმური სამყაროსთვის, არამედ მსოფლიოსთვის.

სირიის კონფლიქტის ესკალაციის პირობებში თეირანი განცხადებებიდან ქმედებებზე გადავიდა - ოფიციალური დელეგაცია მეჯლისის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარის ალაოდდინ ბორუჯერდის ხელმძღვანელობით დამასკოში ჩავიდა. მათ სირიის ხელისუფლებას პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადეს და შეხვედრები გამართეს პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ვალიდომ მოალემომთან და პრემიერ-მინისტრ ვაელომ ალ-ხალყისთან.

თეირანის მიერ სირიის მოქმედი ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის მკვეთრად დეკლარირებული პოზიციის პირობებში, დიდი ყურადღება გამოიწვია ირანის ყოფილი პრეზიდენტისა და ამჟამად მოქმედი და გავლენიანი პოლიტიკოსის („ქვეყნის მოწყობის მიზანშეწონილობის საბჭოს“ ხელმძღვანელი) **ჰაშემი რაფსანჯანის** განცხადებამ. მან მაზანდარანში გამოსვლისას ქვეყანაში არსებულ ეკონომიკური პრობლემებზე ისაუბრა და სირიაში მიმდინარე მოვლენებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ **სირიელმა ხალხმა ბოლო ორი წლის განმავლობაში დიდი დანაკლისი განიცადა, უამრავი დაიხოცა და ლტოლვილად იქცა. მან დასძინა, რომ სირიელი ხალხი ერთი მხრივ, საკუთარი ხელისუფლების მხრიდან ქიმიური იარაღის გამოყენების მსხვერპლი გახდა, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო ძალების მიერ დაბომბვის მოლოდინშია.**

ჰაშემი რაფსანჯანის აღნიშნულ განცხადებას ფართო გამოხმაურება მოჰყვა როგორც ირანულ, ასევე დასავლურ მედიაში. ოფიციალური თეირანი ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს უჭერს მხარს და ქიმიური იარაღის გამოყენებაში სირიის ოპოზიციურ დაჯგუფებებს ადანაშაულებს. რაფსანჯანის განსხვავებული პოზიცია და ირანში კონსერვატორთა ნაწილმა, პროამერიკულ განცხადებად შეაფასა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი მას ჟურნალისტების მიერ არასწორად ინტერპრეტირებული უწოდა. ამის შემდეგ ინტერნეტში გავრცელდა მობილური ტელეფონით გადაღებული ჰაშემი რაფსანჯანის გამოსვლა, სადაც ის ნამდვილად ამბობს ზემოთაღნიშნულს სირიაში მიმდინარე მოვლენებზე. თუმცა ჰაშემი რაფსანჯანის განცხადება არ შეიძლება მივიჩნიოთ სირიასთან დაკავშირებით თეირანის პოზიციის ცვლილებად. ისლამური რესპუბლიკის სხვა პოლიტიკოსებიც ხშირად აკეთებენ აქცენტს სირიელი ხალხის და არა უშუალოდ ბაშარ ალ-ასადის მხარდაჭერაზე. ეს შესაძლოა უკავშირდებოდეს თეირანის გათვლას, რომ ის მხარს უჭერს არა უბრალოდ ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებას, არამედ „მოძმე სირიელი ხალხს“. თვითონ ჰაშემი რაფსანჯანიმ რამდენიმე დღის შემდეგ საკუთარ განცხადებაზე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ სირიელი ხალხი უკვე ორი წელია რთულ ვითარებაში იმყოფება და ამჯერად, ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი ქიმიური იარაღის გამოყენების გამო, გარე ძალების მხრიდან თავდასხმის მოლოდინშია. მან მედია-საშუალებები გააკრიტიკა და მათი ქმედება მტრისთვის სასარგებლოდ დაასახელა. ჰაშემი რაფსანჯანიმ დასვლეთის მცდელობა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გაბატონებისთვის დაგმო.

ირანის მხრიდან სირიის ხელისუფლებისადმი მხარდაჭერად შეიძლება მივიჩნიოთ ირანელი დიპლომატის **ამირ აბდოლაჰიანის** რუსეთში ვიზიტი. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე არაბულ და აფრიკის ქვეყნების საკითხებში, სირიაში აშშ-ს სამხედრო ინტერვენციის საფრთხის პირობებში, ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში ჩავიდა და სირიის

საკითხზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან და სირიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ვალიდ ალ-მოალემთან კონსულტაციები გამართა. სამმხრივი შეხვედრების ძირითადი თემა სირიის კრიზისის დარეგულირების შესახებ ბოლო ინციატივის - სირიაში არსებული ქიმიური იარაღის საერთაშორისო კონტროლისთვის გადაცემა წარმოადგენდა. ირანელმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ თეირანი მზად არის მონაწილეობა მიიღოს სირიაში ქიმიური იარაღის საერთაშორისო კონტროლის გადაცემის პროცესში.

ირანის ისლამური რესპუბლიკა გარდა ზემოთაღნიშნული ოფიციალური პოლიტიკური მხარდაჭერისა სირიის რეჟიმის მიმართ, შესაძლოა სირიაში სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში, სხვა სამხედრო ღონისძიებებისთვის ემზადებოდა. ამის შესახებ ინფორმაცია აშშ-ს სპეცსამსახურებმა გაავრცელეს. The Wall Street Journal-ში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, აშშ-ის სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა მოისმინეს ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ელიტარული ქვედანაყოფის, „ყოდსის ძალების“ მეთაურის ყასემ სოლეიმანის საუბარი ერაყში არსებული არაფორმალური შიიტური შეიარაღებული დაჯგუფების წარმომადგენელთან, რომელსაც ის ავალებს, რომ სირიაზე აშშ-ს თავდასხმის შემთხვევაში, ბაღდადში აშშ-ს საელჩოზე და ერაყში არსებულ სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე მიიტანონ იერიში. ამერიკელები ასევე მიუთითებენ, რომ საფრთხეა მოსალოდნელი სპარსეთის ყურეში დისლოცირებული ირანის პატარა სწრაფმავალი კატარღებისგან, რომლებიც შესაძლოა კამიკაძის ფუნქციით იყვნენ გამოყენებული. ამერიკელი პოლიტიკოსები აღნიშნავენ, რომ შესაძლოა გააქტიურდეს ირანის და სირიის რეჟიმის მოკავშირე შიიტური ტერორისტული დაჯგუფება ჰეზბოლა და იერიში განახორციელოს ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში მდებარე აშშ-ს საელჩოზე. ოფიციალურმა თეირანმა ვაშინგტონის მხრიდან გამოთქმული აღნიშნული ბრალდებები უარყო.

სირიის კრიზისზე ისაუბრა **ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ** „ჰაჯის“ შესასრულებლად მიმავალ მორწმუნეებთან შეხვედრისას. აიათოლა ალი ხამენეიმ იმედი გამოთქვა, რომ აშშ-ს ახალი მიდგომა (სირიის ქიმიური იარაღის საერთაშორისო კონტროლის ქვეშ გადაცემის შესახებ) სერიოზული იქნება და მხოლოდ მედია-საშუალებებით თამაში არ გამოდგება. მან რეგიონში მიმდინარე მოვლენების განხილვისას „ბოროტი ძალები“ ახლო აღმოსავლეთში რელიგიურ ნიადაგზე განხეთქილების შექმნაში დაადანაშაულა. აიათოლა ალი ხამენეიმ მსოფლიოს „ზეძალებს“ და განსაკუთრებით აშშ-ს, რეგიონის ქვეყნებში(პაკისტანი, ავღანეთი, ერაყი, სირია, ბაჰრეინი) საკუთარი არალეგიტიმური მიზნების მისაღწევად, ნგრევასა და უადანაშაულო ხალხის ხოცვაში დასდო ბრალი.

სირიაში მიმდინარე მოვლენები გახდა ირანის პრეზიდენტის პირველი საგარეო ვიზიტის მთავარი თემა. ჰასან როუჰანიმ 13 სექტემბერს, ბიშკეკში გამართული „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ სამიტის ფარგლებში გამართული შეხვედრაზე ირანის ბირთვულ პროგრამასთან ერთად მნიშველოვანი ადგილი სირიის კრიზისის განხილვას დაუთმო. იგი მიესალმა სირიის განცხადებას ქიმიური იარაღის გამოყენების აკრძალვის კონვენციასთან მიერთების შესახებ. ჰასან როუჰანიმ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ორმხრივი შეხვედრის დროს რუსეთის ჩარევა სირიის კრიზისის მოგვარებაში, რეგიონში ახალი ომის დაწყების თავიდან აცილების იმედად შეაფასა და ამ საკითხზე რუსეთთან კონსულტაციების გამართვის სურვილი გამოთქვა.

ირანი, სავარუდოდ, აქტიურად გააგრძელებს სირიის ხელისუფლების მხარდაჭერას. სირიის საკითხი მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს მიმდინარე თვეში ირანსა და დასავლეთს შორის დაგეგმილ სხვადასხვა ფორმატის მოლაპარაკებებში (ირანი და ატომური ენერგიის

საერთაშორისო სააგენტო; ირანი და „ექვსეული“) და ასევე, ჰასან როუჰანის გაერო-ს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიაზე გამოსვლასა და ოფიციალურ შეხვედრებზე. ირანის ისლამური რესპულიკის მთავრობა, რომელიც დასავლეთთან ურთიერთობებში „მეთოდების და არა პრინციპების“ შეცვლას გეგმავს, შეეცდება მაქსიმალურად გამოიყენოს დიპლომატიური რესურსი მოკავშირე ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მხარდასაჭერად.

გამოყენებული მასალები:

http://www.farsnews.com/newstext.php?nn=13920531000007
http://www.radiofarda.com/archive/news/20130823/143/143.html?id=25083590
http://www.iran.ru/news/politics/89491/Genshtab_Irana_SShA_ne_dolzhny_perehodit_krasnuyu_chertu_v_otnoshenii_Sirii
http://www.iran.ru/news/politics/89486/Prezident_Irana_osudil_primenenie_himoruzhiya_v_Sirii
http://www.iran.ru/news/politics/89587/Proigraet_tot_kto_nachnet_voynu_na_Blizhnem_Vostoke_ministr_oborony_Irana
http://www.radiofarda.com/archive/news/20130830/143/143.html?id=25090263
http://www.parsine.com/fa/news/146710/
http://isna.ir/fa/news/92060604402/
http://www.bepfars.ir/fa/news/13833/
http://negahefars.com/sysnews/cid/17270/
http://negahefars.com/sysnews/cid/17270/
http://regnum.ru/news/polit/1701208.html
http://www.iran.ru/news/politics/89618/Tegeran_Napadenie_SShA_na_Siriyu_budet_stoit_Rossii_Kavkaza
http://www.radiofarda.com/content/f9_hashemi_rafsanjani_remarks_chemical_attack_syria_assad_reactions/25094165.html
http://www.bloghnews.com/news/21183/
http://www.radiofarda.com/content/b22-akbar-hashemi-syria-attack-chem-assad/25092383.html
http://www.youtube.com/watch?v=YoulRUcX-f0&feature=em-uploademail
http://www.bbc.co.uk/persian/iran/2013/09/130907_l45_hashemi_rafsanjani_syria.shtml
http://isna.ir/fa/news/92061911728/
http://www.iran.ru/news/politics/89754/Iran_podderzhal_iniciativu_Rossii_o_kontrole_nad_siriyskim_himoruzhiem
http://www.trend.az/regions/iran/2188187.html
http://www.iran.ru/news/politics/89767/Siriyskie_i_iranskie_diplomaty_obsuzhdayut_v_Moskve_situaciyu_v_Sirii
http://www.isna.ir/fa/news/92062012807/
http://www.president.ir/fa/71136

ინგა ინასარიძე

კონფესიური დაპირისპირების ფაქტორი არაბულ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებში

წლების განმავლობაში ერაყში მიმდინარე ეთნოკონფესიურმა დაპირისპირებამ დასავლურ პრესაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა. უმეტესად ხდებოდა იმის წარმოჩენა, რომ კონფლიქტი წარმოადგენდა შიიტებსა და სუნიტებს შორის, მათი განსხვავებულობიდან მომდინარე, საუკუნოვანი უთანხმოების შედეგს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომენტარების უმრავლესობა შიიტურ-სუნიტური დაპირისპირების გარდაუვალობას მიუთითებდა არამხოლოდ ერაყში, არამედ ისლამური სამყაროს სხვა ქვეყნებშიც, სადაც მრავალრიცხოვანი კონფესიური უმცირესობები არსებობს.

შიიტებსა და სუნიტებს შორის არსებული განსხვავება წინასწარმეტყველ მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ წარმოიშვა. მაგრამ ისტორიულად სუნიტებსა და შიიტებს შორის დაპირისპირებას მაინც მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების პერიოდები ჭარბობდა. ლიბანსა და ერაყში არც თუ ისე იშვიათია სუნიტებსა და შიიტებს შორის ქორწინებაც. თუმცა, განმასხვავებელი/გამყოფი ხაზი მათ შორის, მცირე დოზით, მუდმივად არსებობდა. დაპირისპირებამ ცოტა ხნის წინ ხელახლა იჩინა თავი და ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური ურთიერთობების ცვლილებების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად იქცა. ამ რეგიონში კი რელიგია და პოლიტიკა ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან.

კონფესიური დაპირისპირების მუდმივი ზრდა, რომელიც 1970-იან წლებში დაიწყო და ირანის რევოლუციისა და ავღანეთის ომის შემდეგ გამძაფრდა, დაკავშირებული იყო ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვებასთან. პირველ რიგში, ეს ეხება ირანსა და არაბულ ქვეყნებს, გამოკვეთილად კი - საუდის არაბეთს. ამ კონკურენციამ ხელი შეუწყო რელიგიური დაძაბულობის მკვეთრ ზრდას, განსაკუთრებით პაკისტანსა და ავღანეთში, რამდენადაც ორივე მხარე ცდილობდა რელიგიის პოლიტიკურ იარაღად გამოყენებას. ერაყის ირანში შეჭრამ და ამას მოყოლებულმა ომმაც დიდი როლი ითამაშა ამ ურთიერთობებში.

სახელმწიფოთა შორის მეტოქეობამ, ასევე შიიტების სოციალურმა და ეკონომიკურმა არასახარბიელო მდგომარეობამ სუნიტური უმრავლესობის ქვეყნებში, ან ისეთ ქვეყნებში, სადაც შიიტები უმრავლესობას წარმოადგენენ, მაგრამ ქვეყანას სუნიტი მმართველი ჰყავს, როგორც ბაჰრეინსა და ერაყის შემთხვევებში - ამ ყველაფერმა ბოლო ათწლეულში ხელი შეუწყო შიიტების გაუცხოების გრძნობას და მათი მხრიდან ემანსიპაციისა და ლეგიტიმურობის უფრო მაღალი ხარისხის მოპოვების სურვილს. 1960-იან წლებში აიათოლა მუსა ალ-სადრის ხელმძღვანელობით დაწყებული შიიტური მოძრაობა ლიბანში საუკეთესო მაგალითია შიიტების მხრიდან თანასწრობისა და აღიარების სწრაფვისა.

ჩვეულებრივ, კონფესიური კონფრონტაცია თავს იჩენს ისეთ გარემოში, სადაც ერთ ჯგუფს აქვს, ან ითვლება, რომ აქვს, პრივილეგიები ხელისუფლებაში თუ ქვეყნის კულტურული ცხოვრების სფეროში, ასევე თუ ეს ჯგუფი ფლობს სიმდიდრეს. ბაჰრეინში მცხოვრები შიიტები ითხოვენ მთავრობაში დასაქმების თანაბარ პირობებს, ისევე როგორც ერაყში მცხოვრები

სუნიტური ნაწილი ცენტრალური შიიტური ხელისუფლების პირობებში თავს დაჩაგრულად გრძნობს.

მაგრამ ეს არსებული ვითარების მხოლოდ ერთი მხარეა. ისლამის შიგნით მზარდი რელიგიური დაძაბულობა ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული რეგიონულ ქიშპთან სუნიტური საუდის არაბეთსა და შიიტურ ირანს შორის: რეგიონული მხარდაჭერის მობილიზებისთვის, არ-რიადი სუნიტური საზოგადოების დამცველად წარმოდგება, თეირანი კი, თავის მხრივ, ცდილობს მოკავშირეები იყოლიოს ლიბანსა თუ ერაყში, ისევე როგორც სირიაში. ირანსა და საუდის არაბეთს, ერაყთან ერთად, რეგიონში გავლენის მოპოვების მრავალწლიანი კონკურენცია აკავშირებთ. მათი უპირატესობა სხვადასხვა ისტორიული პირობებიდან გამომდინარე იცვლებოდა. ირან-ერაყის რვაწლიანი დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ რეგიონში ჰეგემონობისათვის ბრძოლა გახდა. ბოლო ხანს კი საკმაოდ გაძლიერდა საუდის არაბეთის გავლენა.

კონფესიური განსხვავებულობის ფაქტორის გავლენაზე მიუთითებს საუდის არაბეთის პოზიციაც მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. საინტერესოა, რომ საუდის არაბეთის მეფე აბდულა მხარს უჭერს სირიის ოპოზიციას, მაშინ როცა 2011 წლის მარტში მეზობელ ბაჰრეინში ჯარიც კი გაგზავნა მთავრობისთვის დახმარების აღმოსაჩენად ანალოგიური ოპოზიციური ძალების (მაგრამ შიიტურის) წინააღმდეგ. ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ორივე შემთხვევაში საუდის არაბეთი არა დაჩაგრულ ხალხს, არამედ უბრალოდ სუნიტებს ეხმარებოდა.

ახლო აღმოსავლეთში სუნიტურ-შიიტური ურთიერთობები ერაყის 2003 წლის სამოქალაქო ომის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბაა. მომდევნო დაპირისპირება ისლამის ამ ორ მიმდინარეობას შორის 2008 წელს ლიბანში მიმდინარე მოველენებს უკავშირდება. ამავე პერიოდში ბაჰრეინსა და საუდის არაბეთში შიიტებმა მეტი პოლიტიკური და კულტურული უფლებებისთვის დაიწყეს ბრძოლა. ბოლოს კი ამ ყველაფერს „არაბული გაზაფხული“ მოჰყვა. ანტისახელისუფლებო გამოსვლების ტალღამ, რომელიც 2011 წელს დაიწყო, კიდევ უფრო გააღრმავა მანამდე არსებული ბზარი – არა იმიტომ, რომ ეს გამოსვლები რელიგიური ხასიათის იყო, არამედ იმის გამო, რომ ეს აქციები საფრთხეს უქმნიდა არსებულ პოლიტიკურ წესრიგს ახლო აღმოსავლეთში.

ზოგიერთ არაბულ სახელმწიფოში შედარებით მწვავედ დგას კონფესიური დაპირისპირების საკითხი:

ერაყი

დემოგრაფია: მოსახლეობა 31,858,481 [1]; დაახლოებით 60-65% შიიტები, 32-37% სუნიტები.

ხელისუფლება: ცენტრალურ ხელისუფლებაში შიიტური პარტიები დომინირებენ, რაც სუნიტი არაბების უკმაყოფილებას იწვევს, რადგან, სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ხელისუფლებას ერაყის ყოფილი ლიდერის, სადამ ჰუსეინის მმართველობისას.

ერაყის ისტორიაში ეთნოკონფესიური ფაქტორი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. დაპირისპირებები სუნიტებსა და შიიტებს შორის, და მეორეს მხრივ უთანხმოება ქურთებთან, მუდმივად ახდენდა გავლენას ქვეყნის შინაპოლიტიკურ ვითარებაზე.

ბრიტანეთისგან 1932 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ერაყის ხელისუფლებაში სუნიტი მმართველები აღმოჩნდნენ. იმ ხანებში თვალსაჩინო იყო შიიტების

[1] 2013 წლის ივლისის მონაცემების მიხედვით.

დისკრიმინაცია, რასაც შედეგად ათასობით შიიტის ირანში ემიგრაცია მოჰყვა. ეს მდგომარეობა 2003 წლამდე გაგრძელდა, ანუ იქამდე, სანამ ამერიკამ ერაყში სამხედრო მოქმედებები არ განახორციელა და სადამ ჰუსეინის რეჟიმის მმართველობა არ დასრულდა. ამ წელს დაიწყო სუნიტურ-შიიტური კონფრონტაციის ახალი ტალღა. ფაქტიურად, ამერიკელებმა დაარღვიეს არსებული სტატუს კვო, როდესაც ერაყში დემოკრატიული არჩევნები ჩაატარეს და ერაყი პირველი თანამედროვე არაბული სახელმწიფო გახდა, რომელსაც შიიტები მართავდნენ. ეს დამამცირებელი და მიუღებელი იყო როგორც თავად ერაყში მცხოვრები სუნიტი უმცირესობისთვის, ისე რეგიონის სხვა სუნიტებისთვისაც. 2004 წლის დეკემბერში იორდანიის მეფე აბდულა პირველი გახდა, ვინც ტერმინი „შიიტური ნახევარმთვარე“ გამოიყენა.

2006 წლის დასაწყისში სამარაში შიიტების სიწმინდეზე - „ოქროს მეჩეთზე” განხორციელებულ ტერაქტს ქვეყნის მაშტაბით მასობრივი არეულობები მოჰყვა. სუნიტების და შიიტების ერთმანეთის მეჩეთებზე თავდასხმებს ”მეჩეთების ომი” უწოდეს[2]. ვითარების დასარეგულირებლდ, საუდის არაბეთის შუამავლობით, იმავე წლის ოქტომბერში მხარეებმა ხელი მოაწერეს „მექის დოკუმენტს”, რომელიც მიმართული იყო ამ სასტიკი დაპირისპირების შესაჩერებლად და ხაზს უსვამდა სუნიტებისა და შიიტების ერთიანობას.

2011 წლის დეკემბერში, აშშ-ს მიერ ჯარების გაყვანის შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა ერაყის უსაფრთხოების ძალებსა და შიიტ მოსახლეობაზე მიზანმიმართული თავდასხმები. ალ-ქაიდასთან დაკავშირებული სუნიტ ექსტრემისტთა ჯგუფები შიიტებსა და სუნიტებს შორის ძალადობის გაჩაღებით მუდმივად ცდილობენ სახელმწიფოში დესტაბილიზაციის გამოწვევას.

ალ-ქაიდას სუნიტი ფანატიკოსები თვლიან, რომ შიიტი პოლიტიკოსები, რომლებიც ბაღდადში დომინირებენ, უცხოელი დამპყრობლების მემკვიდრეები არიან. ერთ დროს ერაყში ძალადობა მიმართული იყო ანგლო-ამერიკელი „ოკუპანტების“ წინააღმდეგ, დღეს ეს ძალადობა ძირითადად შიიტ უმრავლესობასა და სუნიტ უმცირესობას შორის იჩენს თავს. ლონდონის ეკონომიკის სკოლის ლექტორის, ტობი დოჯის მიხედვით, ნაწილობრივ ეს შეიძლება აიხსნას „ახალი რეგიონული ცივი ომით“, რომელიც ახლო აღმოსავლეთს შუაზე ჰყოფს. ამ ყოვლისმომცველ ბრძოლაში, ირანი და საუდის არაბეთი მთავარი ანტაგონისტები არიან: პირველი, როგორც შიიტების მთავარი მფარველი და მეორე, როგორც სუნიტური არაბული მიწისა და მისი წმინდა ადგილების „უკანასკნელი დამცველი“.

ბაჰრეინი

დემოგრაფია: მოსახლეობის რაოდენობა: 1,281,332 მლნ. მოსახლეობის უმრავლესობას შიიტები შეადგენენ (65-70%).[3]

ხელისუფლება: ქვეყანას მართავს სუნიტი ალ-ხალიფას სამეფო ოჯახი. შესაბამისად, სახელმწიფოსა და უშიშროების ორგანოებში თითქმის ყველა მთავარი პოსტი ი სწორედ სუნიტი უმცირესობის წარმომადგენლებს უკავიათ.

ბაჰრეინშიც, სადაც შიიტები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, ასევე უკმაყოფილონი იყვნენ სუნიტთა მმართველობით. მათი ეს უკმაყოფილება მალევე ქუჩაში საპროტესტო გამოსვლებში გადაიზარდა, რომელიც თითქმის ყოველ კვირა იმართება. მმართველი ალ-ხალიფას წინააღმდეგ წარმოებული გამოსვლების ჩასახშობად 2011 წელს

[2] დაახლ. 113 სუნიტური მეჩეთი იქნა განადგურებული.
[3] 2013 წლის ივლისის მონაცემებით.

საუდის არაბეთმა თავისი ჯარები შეიყვანა შიიტი ამბოხებულების დასაშლელად. ამის შემდეგ ბაჰრეინის მთავრობამ, სულ მცირე, 38 შიიტური მეჩეთის დემონტაჟი განახორციელა.

როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, შეტყობინება მკაფიო იყო: საუდის არაბეთმა მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ურჩევნია ჩაახშოს ბაჰრეინში აჯანყების პატარა ნაპერწკალიც კი, ვიდრე შემდეგ ხანძრის ჩაქრობა მოუწიოს საკუთარ სახლში. საუდის არაბეთი არ დაუშვებდა ბაჰრეინში, მისი საზღვრებიდან სულ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, შიიტების ხელისუფლების სათავეში მოსვლას. სამეფოს ნავთობის ძირითადი მარაგი ბაჰრეინის მიმდებარე ტერიტორიებზეა. საუდის არაბეთის ამ აღმოსავლეთ რაიონში ცხოვრობს ასევე შიიტი მოქალაქეების გარკვეული ჯგუფიც.

ლიბანი

დემოგრაფია: მოსახლეობა 4,131,583; დაახლოებით 60% მუსლიმები (შიიტები 40%–ს აღწევენ, სუნიტები დაახლ. 20%-ს), 39% ქრისტიანები. ტრიპოლიში არის ასევე ალავიტების მცირე თემი. [4]

ხელისუფლება: ხელისუფლების ძირითადი პოსტები მკაცრადაა განაწილებული რელიგიური კუთვნილების მიხედვით. პრეზიდენტი უნდა იყოს ქრისტიანი მარონიტი, პრემიერ-მინისტრი სუნიტი, დემოგრაფიულად ყველაზე დიდ, შიიტურ ჯგუფს უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის პოზიცია დაიკავოს, თუმცა შიიტურია ასევე ნახევრადლეგალური სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება ჰიზბალაჰი.

ხელისუფლების კონფესიურმა განაწილების პრინციპმა სერიოზული პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა გამოიწვა ლიბანში 1970 წელს. ოდნავ მოგვიანებით კი დემოგრაფიულ ცვლილებას ქვეყანაში მუსლიმი ელიტის მხრიდან პილიტიკური უფლებამოსილების გაზრდის მოთხოვნები მოჰყვა. 1975 წელს ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო, რომელიც 4 ეტაპს[5] მოიცავდა და საბოლოოდ 1990 წელს დასრულდა. ამ ომში აქტიურად იყვნენ ჩართული სირია და ისრაელი.

შიიტური მოძრაობის რადიკალურ ტრანსფორმაციას კი ხშირად სწორედ 1982 წელს ისრაელის ლიბანში შეჭრის ფაქტს უკავშირებენ (ოპერაცია „მშვიდობა გალილეაში”), რომელსაც შემდეგ ლიბანის კიდევ ერთი სამოქალაქო ომი მოჰყვა (1982-83 წწ).

სირიაში მიმდინარე მოვლენებმა საგრძნობლად დაძაბა ურთიერთობა სუნიტებსა და შიიტებს შორის ლიბანის შიგნითაც. მოსახლეობის სუნიტური ნაწილი თანაუგრძნობს, და ხშირ შემთხვევაში დახმარებასაც უწევს სირიის ამბოხებულებს, რომლებმაც ჩრდილოეთ ლიბანში ბაზაც გახსნეს. შიიტური ჰიზბალაჰი კი სირიის მმართველი რეჟიმის მოკავშირეა და, თავის მხრივ, მხარდაჭერას იღებს ირანისგან. ტრიპოლიში სუნიტებსა და ადგილობრივ ალავიტებს შორის ძალადობის შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი.

[4] ლიბანი ერთადერთია არაბულ ქვეყნებს შორის, სადაც ოფიციალურად 18 რელიგიური თემია აღიარებული.

[5] 1975-1977; 1978-1981; 1982-1983; 1983-1990

საუდის არაბეთი

დემოგრაფია: მოსახლეობა - 26,939,583[6]; მოსახლეობის 10-15%-ს შეადგენენ შიიტები (დაახლ. 2,4-3,6 მილიონი). მათი უმეტესობა ცხოვრობს ქვეყნის ნავთობით მდიდარ აღმოსავლეთ პროვინციაში.

ხელისუფლება: მთელი ძალაუფლება ალ-საუდის, სუნიტი სამეფო დინასტიის ხელშია მოქცეული. ქვეყანას 2005 წლის 1 აგვისტოდან მეთაურობს მეფე აბდულა ბინ ანდ ალ-აზიზ ალ-საუდი, რომელიც იმავე დროს პრემიერ-მინისტრიცაა. მთავრობა უმეტესად სამეფო ოჯახის წევრებისგანაა დაკომპლექტებული.

სუნიტებსა და შიიტებს შორის დაპირისპირებას საუდის არაბეთში ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი ჯერ კიდევ XVIII ს-ში ვაჰაბიტების მიერ შემუშავებული რელიგიურ-იდეოლოგიური დოქტრინიდან მომდინარეობს, რომელიც უკიდურესი სისასტიკით გამოირჩეოდა იმ მუსლიმების მიმართ, ვინც მათ იდეოლოგიას არ იზიარებდა.

XX საუკუნის დასაწყისში ადგილობრივი შიიტი მუჯთაჰიდების მიერ მომავალი მეფის აბდ ალ-აზიზ იბნ საუდისთვის გაწეული დახმარებებისთვის, ამ უკანასკნელმა შიიტებს ნება დართო საკუთარი მეჩეთები და სასამართლოები ჰქონოდათ, შეესრულებინათ რელიგიური რიტუალები. თუმცა მოგვიანებით, 1927 წელს „იხვანების" (ვაჰაბიტ ბედუინთა რელიგიური ჯგუფი, რომელიც საუდელთა ყოველდღიურ ცხოვრებას აკონტროლებს) უკმაყოფილებისა და კრიტიკის საპასუხოდ, იბნ საუდმა შიიტებთან დაკავშირებული საკითხი უმაღლესი ულემების კომიტეტს გადასცა განსახილველად. ულემების მიერ გამოცემული ფათვა მეფეს მოუწოდებდა შიიტების მიმართ გარკვეული შეზღუდვების დაწესებას, მათ იძულებას ეღიარებინათ ვაჰაბიზმი. შიიტთა ნაწილმა მართლაც აღიარა ვაჰაბიზმი, მნიშვნელოვანი ნაწილი კი ბაჰრეინში გადასახლდა. იბნ საუდმა შიიტ წმინდანთა საფლავების დანგრევის ბრძანებაც გასცა და თავად შიიტებს იმამ ჰუსაინის საჯარო დატირება აუკრძალა.

შემდეგ იყო მეფე ფაისალის დროს გამოცემული კიდევ რამდენიმე ფათვა, რომელიც შიიტებს საჯაროდ რელიგიური რიტუალების შესრულებას და მეჩეთების მშენებლობას უკრძალავდა. ზოგიერთი სუნიტი ღვთისმეტყველის აზრით, შიიტის დაკლული ცხოველის ხორციც კი უწმინდური და მიუღებელი იყო სუნიტებისთვის.

ვითარებამ შეცვლა ირანში მომხდარი ისლამური რევოლუციისა და ირან-ერაყის ომის შემდეგ დაიწყო. საუდელმა შიიტებმა დაიწყეს გამოსვლები. ბევრ მათგანს განათლება ყუმსა და თეირანში ჰქონდა მიღებული, შესაბამისად, მათთვის ცნობილი იყო იმამ ხომეინის იდეები. ამასთან, ჰაჯზე ჩასული ირანელი პილიგრიმები პოლიტიკურ დემონსტრაციებს აწყობდნენ და ისლამური რევოლუციის პროპაგანდას ეწეოდნენ. ამას, შესაბამისად, ხელისუფლების მკაცრი ღონისძიებები მოჰყვა.

საუდის არაბეთის ხელისუფლების შიიტებთან დამოკიდებულების და ურთიერთობების გაუმჯობესება XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი 1999 წელს ირანის პრეზიდენტის ხათამის ვიზიტმა სამეფოში. მანამდე, 1993 წელს მეფე ფაჰდიმ შიიტი პოლიტიკური იმიგრანტების მიმართ ამნისტია გამოაცხადა. მან შიიტ ლიდერებს პირობა მისცა, რომ არ დაუშვებდა შიიტების მიმართ დისკრიმინაციას.

2003 წელს ერაყში განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეული გავლენა იქონია საუდელ შიიტებზეც, რომელთაც აქტიურად დაიწყეს მოთხოვნების წამოყენება. თავიანთი მოთხოვნები

[6] 2013 წლის ივლისის მონაცემების მიხედვით.

შიიტებმა დოკუმენტში ”პარტნიორები სამშობლოში” გააერთიანეს. პრინცი მათ გარკვეული მოთხოვნების შესრულებას დაპირდა.

2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტისა და საუდის არაბეთის ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებაში ბრალდებას მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა შიიტებთან მიმართებაშიც. სამეფომ დაიწყო საზოგადოების კონსოლიდაციაზე ზრუნვა. კერძოდ, დაიწყო შიიტების ჩართვა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და საკონსულტაციო საბჭოში. 2005 წლის აღმოსავლეთი პროვინციის ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში შიიტებმა მიიღეს 11 ადგილი 12-დან. მაგრამ ხელისუფლება მაინც მუდმივად აკონტროლებს შიიტ უმცირესობას. 2009 წელს რელიგიურმა პოლიციამ რამდენიმე ქალაქში შიიტური მეჩეთები დახურა.

მართალია, დღეისათვის ვითარება შეცვლილია შედარებით უკეთესობისკენ, მაგრამ შიიტების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება მაინც რჩება. არაერთი დამკვირვებელი აღნიშნავს, რომ შიიტები საუდის არაბეთში დისკრიმინაციას განიცდიან რელიგიური ნიშნით. თერორიულად, არ არსებობს ისეთი იურიდიული შეზღუდვები, რომლითაც მათ სამოქალაქო-სამართლებრივი საქმიანობა აეკრძალებოდათ. ამასთან, მათ შეუძლიათ იმსახურონ ჯარში ან უშიშროების სამსახურში, მაგრამ არა ელიტარულ ქვედანაყოფში. მითუმეტეს არანაირი შესაძლებლობა არ აქვთ დიპლომატიურ სამსახურში მოღვაწეობისა. არ არსებობს მათთვის სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი (ამიტომ ძირითადად ყუმის, თეირანის ან ირანის სხვა უნივერსიტეტებში იღებენ განათლებას).

2011 წელს არაბულ ქვეყნებში მიმდინარე დემონსტრაციების პარალელურად საუდის არაბეთშიც განხორციელდა შიიტების ფართომასშტაბიანი მშვიდობიანი გამოსვლები. შიიტები რელიგიურ და კულტურულ თავისუფლებასა და საჯარო სამსახურში დასაქმების ხელმისაწვდომობას ითხოვდნენ. ხელისუფლებამ მალევე მოახერხა დაძაბულობის განმუხტვა. მთავრობის მხრიდან ბრალდებებიც გაისმა ირანის მისამართით არეულობის მხარდაჭერაში, თუმცა რაიმე კონკრეტული სამხილი ირანის მონაწილეობისა არ არსებობს.

ძალაუფლებისთვის რეგიონული მეტოქეობა, განსაკუთრებით საუდის არაბეთსა და ირანს შორის, ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მიიჩნევა მიმდინარე მოვლენებში. სუნიტურ-შიიტურ ურთიერთობებში, გარდა თეოლოგიური განსხვავებებისა და იდეოლოგიური შუღლისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საუდელი შიიტების მჭიდრო კავშირები ერთმორწმუნეებთან - ირანთან, ერაყთან და ლიბანთან. ზოგიერთი რადიკალი სუნიტი მათ არაბებადაც კი არ თვლის და სპარსელებად იხსენიებს.

საუდის არაბეთმა მკაფიოდ გამოხატა თავისი შეშფოთება ირანის ბირთვული პროგრამის განვითარების პრესპექტივებზე. გასულ წელს საუდის პრინცმა თურქი ალ-ფაისალმა, რომელიც მანამდე ელჩი იყო ამერიკაში, განაცხადა, რომ ისინი ვერ იცხოვრებდნენ იმ ვითარებაში, სადაც ირანს გაჩნია ბირთვული იარაღი, მათ კი არა.

მეორე ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს სუნიტებსა და შიიტებს შორის დაძაბულობის ზრდას, არის ფუნდამენტალისტებისა და ვაჰაბიტების გლობალური გავლენა, რომელიც დომინირებს საუდის არაბეთსა და სუნიტურ ჯიჰადისტურ ჯგუფებში, მათ შორის ალ-ქაიდაში. ანტიშიიტურ განწყობას ხელს უწყობს ასევე ოფიციალური რელიგიური ინსტიტუტების წარმომადგენელთა პოზიცია, რომლებიც საერთოდ არ თვლიან შიიტებს მუსლიმებად. სუნიტი ულემებისთვის შიიზმი მიუღებელია იდეოლოგიურად და მის ზოგიერთ ჩვეულებას მრავალღმერთიანობად მიიჩნევს. შიიტურ თემს ”სოციალურ ანომალიად” და სამეფოსთვის მნიშვნელოვან საფრთხედ აღიქვამენ. 2006 წლის დეკემბერში ვაჰაბიტების უმაღლესმა სასულიერო პირმა აბდულ რაჰმან ალ-ბარრაკმა გამოსცა ფათვა, რომელიც სერიოზული

გავლენა იქონია სუნიტების დამოკიდებულებაზე შიიტების მიმართ: „(შიიტების) ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ ისინი არიან მატყუარები, მოღალატეები და ფარისევლები... ისინი გაცილებით საშიშნი არიან ვიდრე ებრაელები ან ქრისტიანები“.

სირია

დემოგრაფია: მოსახლეობის უმრავლესობას (70%) სუნიტები შეადგენენ, ალავიტები - 10-15%.

ხელისუფლება: ქვეყნის მმართველი ალ-ასადის ოჯახის წევრები ალავიტები[7] არიან. ალავიტები აკონტროლებენ ქვეყნის სამხედრო და სადაზვერვო სამსახურებს.

დღეისათვის სირიაა სუნიტურ-შიიტური (ალავიტების სახით) დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი ასპარეზია. ასადის კლანი ირანის ყველაზე ახლო მოკაშირედ იქცა არაბულ სამყაროში. ირანი და ჰიზბალაჰი ყველა ღონეს ხმარობენ, რომ შეინარჩუნონ ასადს ხელისუფლება: მათი პირდაპირი სამხედრო თუ ფინანსური დახმარება სწორედ იმისკენ იყო მიმართული, რომ ასადს მოეხერხებინა ქვეყანაში კონტროლის დამყარება. ირანი ასადს საჭირო რესურსებს ერაყის დახმარებით აწვდის. იმ შემთხვევაში, თუ ასადი იძულებული გახდება თანამდებობა დატოვოს, მისი შემცვლელი სავარაუდოდ სუნიტი მმართველი იქნება. საკუთარი სუნიტი უმცირესობის პირობებში, რომლებიც ასევე ახლოს არიან აჯანყებასთან, ერაყის პრემიერ-მინისტრს ნურ ალ-მალიქს ყველაზე მეტად რაც სჭირდება, ეს არის ერთმორწმუნე სახელმწიფო მეზობლად.

პრეზიდენტ ბაშარ ასადის წინააღმდეგ დაწყებული ამბოხება სულ უფრო იძენს რელიგიურ ელფერს, რამდენადაც სუნიტური არაბული ქვეყნებისგან (დასავლეთთან ერთად) მხარდაჭერილი მეამბოხეები ებრძვიან ირანის მიერ მხარდაჭერილ ალავიტ მთავრობას. შერეულ სუნიტურ-ალავიტურ რაიონებში რელიგიური ძალადობა და ეთნიკური წმენდის შემთხვევებიც დაფიქსირდა, ამასთან, ალ-ქაიდასთან დაკავშირებული სუნიტი ექსტრემისტები ცდილობენ ქვეყანაში ქაოსის შექმნას.

ალავიტების რაოდენობა სირიაში დაახლოებით 2,5 მილიონს შეადგენს, რაც მოსახლეობის მხოლოდ 12%-ია, მაშინ როცა სუნიტები მოსახლეობის 70%-ზე მეტს აღწევენ. ამიტომ ლოგიკურად, თუკი შიიტმა უმრავლესობამ ერაყში შეძლო კანონიერად ძალაუფლების მოპოვება, სადაც მანადმე სუნიტი უმცირესობა მმართველობდა, რატომ არ შეიძლება სირიელ სუნიტ უმრავლესობასაც ჰქონდეს იგივე შესაძლებლობა?

საინტერესოა, რომ ოპოზიციურმა მოძრაობამ ვერ მოახერხა დამასკოსა და ალეპოს საშუალო კლასის მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება.

მრავალი სირიელი სუნიტი არ აღიარებდა ალავიტების მმართველობის ლეგიტიმურობას. სირიის კონსტიტუციის მე-3 თავში ხაგასმულია, რომ ქვეყნის პრეზიდენტი უნდა იყოს მუსლიმი. ამიტომ, თავის დროზე, ჰაფეზ ასადს გარკვეული სირთულეები შეექმნა წამყვან სუნიტ და შიიტ ღვთისმსხურებთან, როდესაც მათგან ფათვის მიიღებას ცდილობდა, რომლითაც ალავიტებს „მართლმორწმუნე“ მუსლიმების სტატუსი მიენიჭებოდათ. 1974 წელს ლიბანის შიიტური თემის ხელმძღვანელმა, მუსა ალ-სადრმა გამოსცა ფათვა, რომლის მიხედვითაც ალავიტები თორმეტიანების (ყველაზე მრვალარიცხოვანი მიმდინარეობა დღევანდელ შიიზმში) თემის განშტოებას წარმოადგენდნენ.

სუნიტი სირიელების ცნობით, ალავიტები ხელისუფლებაში მოსვლას ფრანგებს უნდა უმადლოდნენ. მათი აღქმით, 100 წლის წინ ისინი ჩრდილოეთით, მთიანი რეგიონის ბინადარი

[7] შიიზმის ერთ-ერთი განშტოება.

უბრალო გლეხები იყვნენ, რომელთა მიმართაც სუნიტ მეზობლებს არც თუ ისე კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ. ძველი დამასკოელები 1960 წელს ბაასის პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ალავიტებზე, როგორც უცხოელების დასაყრდენზე ისე საუბრობდნენ. დღეს ისინი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო მეტად გაუცხოებულნი არიან. მაგრამ I მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთის კოლონიალურმა ადმინისტრაციამ ალავიტებს საშუალება მისცა საკუთარი სახელმწიფო ჰქონოდათ და ისინი ინტენსიურად ჩართო არმიაში.

მართლაც, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას სირიაში სუნიტებს ჰქონდათ დომინანტური პოზიცია. მოგვიანებით, 1946 წელს სირიიდან ფრანგული არმიის გასვლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ვითარება შეიცვალა. ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ახალი ძალები ჩაებნენ. ბაასის პარტიის მეშვეობით თანდათან პოზიციების განმტკიცება დაიწყეს ალავიტებმა. 1963 წლის რევოლუციის შემდეგ აქტიურად დაიწყო სუნიტი სამხედროების ალავიტებით შეცვლა. 1963-76 წლებში მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში სუნიტი უმრავლესობის წარმომადგენლობა 83%-დან 77%მდე დაეცა. სირიელების სამხედრო, პარტიული თუ სახელმწიფო სტრუქტურების "ალავიტიზაცია" 1970 წელს, ალავიტი ჰაფეზ ასადის ხელისუფლებაში მოსვლით დასრულდა. მან აქტიურად დაიწყო მისი თანამეთემეების დაწინაურება, რათა საიმედო დასაყრდენი ჰქონოდა. ჰაფეზმა თითქმის ყველა სუნიტ ხელმძღვანელ პირს მოადგილეებად ასევე ალავიტები დაუნიშნა.

საუკუნეების განმავლობაში ეთნოკონფესიური ჯგუფების ინტერესების ბალანსის დარღვევას ისლამური ოპოზიციის მოძრაობის დაწყება მოჰყვა. ქალაქი ჰამა, რომელიც მიმდინარე ბრძოლების არენას წარმოადგენდა, სუნიტური ისლამური ოპოზიციის ცენტრი იყო თავიდანვე. „მუსლიმმა ძმებმა" 1964 წელს ქალაქში აჯანყება მოაწყვეს, ანუ ბაასის პარტიის ხელისუფლებაში მოსვლიდან 1 წელიწადში. მათ მიერ განხორციელდა ასევე შემდგომი 1981 და 1982 წლების ამბოხებები, რომელთა სამიზნეს ალავიტები წარმოადგენდნენ. ამ ამბოხებების ჩასახშობად ხელისუფლებამ ტანკები გამოიყვანა, რასაც დაახლ. 40,000 მცხოვრები ემსხვერპლა. 1980 წელს ალეპოში კადეტთა კორპუსზე მომხდარი თავდასხმის შემდეგ ჰაფეზ ალ-ასადმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც მუსლიმი ძმების წევრობა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა.

2000 წელს ჰაფეზ ასადი მისმა ვაჟმა ბაშარ ასადმა შეცვალა. იგი შედარებით ლიბერალური ლოზუნგებით მოვიდა ხელისუფლების სათავეში. მამისგან განსხვავებით, ბაშარმა სტრატეგიული პოლიტიკური კავშირი დაამყარა სუნიტებთან და ქრისტინულ უმცირესობებთან. მაგრამ სუნიტი მუსლიმების მხრიდან გადატრიალების საფრთხე მუდმივად არსებობდა. 2007 წელს ქ. ჰომსში სამხედრო სასწავლებლებში აჯანყებების სერია განხორციელდა. აჯანყებულები ალავიტი კოლეგების პრივილეგირებულ მდგომარეობას აპროტესტებდნენ. ბაშარი იძულებული გახდა თავად ჩარეულიყო კონფლიქტში და ადგილზე სამხედრო შენაერთებიც გაგზავნა. სასწავლებლები კი დროებით დახურეს.

2013 წლის ივნისში წამყვანმა სუნიტმა ღვთისმეტყველმა სწავლულებმა ეგვიპტეში გამოსცეს ფათვა, რომლითაც სირიელი ოპოზიციისთვის ადამიანური, ფინანსური და მატერიალურ (აღჭურვილობა) დახმარების გაწევა ყველა მუსლიმის ვალდებულად გამოცხადდა.

რა თქმა უნდა, ბევრი დღეს მებრძოლი, მათ შორის სირიის განთავისუფლების არმია, ადრე არ ყოფილან დაპირისპირებული რეჟიმთან და მათ უშუალოდ ქვეყნის დიქტატორისგან განთავისუფლების მოტივი ამოძრავებთ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სტამბოლში

დაფუძნებლური ოპოზიცია - „სირიული ნაციონალური საბჭო“, „მუსლიმი ძმებთანაა“ კავშირში.

სუნიტურ ისლამისტური ორგანიზაციების, მათ შორის „მუსლიმი ძმების“ აზრით, დასავლეთი ყოველთვის ახდენდა არასუნიტების ან არაარაბების წაქეზებას: მაგალითად, მარონიტებისას ლიბანში, I მსოფილო ომის შემდეგ ალავიტებისას სირიაში, II მსოფლიო ომის შემდეგ ებრაელებისას პალესტინაში და ამჟამად ქურთებისა და შიიტებისას ერაყში. სუნიტური ორგანიზაციების ამ ხედვის თანახმად, არაბული გაზაფხული ახლო აღმოსავლეთის პოსტკოლონიალური რუკის ხელახლა გადასინჯვის შესაძლებლობას წარმოადგენს.

ისიც ფაქტია, რომ ბოლო წლებში ასადის მიერ გამოვლენილი სისასტიკის მიუხედავად, იგი არ ყოფილა ანტისუნიტი. პირიქით, ის ხელს უწყობდა სეკულარული სახელმწიფოს არსებობას და ცდილობდა აღეკვეთა ნებისმიერი ტრადიცია, რომელიც კი ხელს შეუწყობდა ალავიტების განცალკევებას დანარჩენი მუსლიმებისგან.

თუ ასადის რეჟიმი დაემხობა, სირიის სათავეში ისლამისტური ხელისუფლება მოვა. ამით აიხსენება სირიელი ქრისტიანების შეშფოთება და მათი კეთილგანწყობა ასადის მიმართ. მელქიტმა პატრიარქმა გრიგოლ III განაცხადა, რომ ქრისტიანებს „ისეთი რელიგიური თავისუფლება და ტოლერანტობა, როგორიც სირიაში ასადის რეჟიმის მმართველობისას არსებობდა, არც ერთ სხვა არაბულ ქვეყანაში არ ჰქონიათ“. სირიელ ქრისტიანებს განსაკუთრებით მწვავედ ახსოვთ ერაყელი ქრისიტიანების ბედი, როცა ისინი სუნიტმა ფუნდამენტალისტებმა თავიანთი სახლებიდან გამოყარეს. ამჯერად იგივეს საშიშროება ქრისტიანებს უკვე სირიაში დაუდგათ: როგორც ივნისში კათოლიკურმა საინფორმაციო ცენტრმა Fide-მ გაავრცელა ინფორმაცია, ათასობით ქრისტიანი იძულებული გახდა სოფელ ქუსაირი დაეტოვებინა (ჰომსის პროვინციაში) მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა ოპოზიციის მილიციამ მეჩეთის მინარეთიდან ულტიმატუმი წაუყენა მათ.

ამგვარად სირიაში სუნიტურ-შიიტური კონფრონტაცია სიახლეს არ წარმოადგენს. ამჟამად მიმდინარე მოვლენების კონფესიური დაპირისპირების ხასიათს ხაზს უსვამს მხარეთა მოკავშირეების გადანაწილებაც ისლამურ სამყაროში სუნიტურ და შიიტურ ბანაკებს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი. *ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. - XXI ს-ის დასაწყისი).* თბილისი: ილიაუნის გამომც., 2011.

Stephan Crittenden "The clash within civilizations: How the Sunni-Shiite Divide Cleaves The Middle East"; 2012 (http://www.theglobalmail.org/feature/the-clash-within-civilisations-how-the-sunni-shiite-divide-cleaves-the-middle-east/349/)

https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/

http://middleeast.about.com/od/religionsectarianism/tp/Sunni-Shiite-Tension-In-The-Middle-East.htm

http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/middleeast/10197788/The-new-Cold-War-dividing-the-Middle-East.html

http://acmcu.georgetown.edu/spotlight/Sitaru%20-%20Stereotypes%20about%20Islam%20and%20media%20intellectual.pdf

http://www.iiss.org/en/Topics/middle-east/55-4-07-jones--seth-abcd

http://mideast.foreignpolicy.com/posts/2013/08/09/the_language_of_anti_shiism

სიმონ გურეშიძე

ეგვიპტე გზაგასაყარზე

მიმდინარე წლის ზაფხულში ეგვიპტე კიდევ ერთხელ დადგა პოლიტიკურ გზაგასაყარზე. მუჰამად მურსის საპრეზიდენტო პოსტის დაკავებიდან ერთი წლის შემდეგ, 30 ივნისს, ქვეყანაში მორიგმა საპროტესტო ტალღამ იფეთქა. მასობრივი გამოსვლების საბაბად იქცა საწვავისა და ელექტროენერგიის უკმარისობა. პროცესების პარალელურად არმიამ ხელისუფლებას მისცა ვადა ხალხის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად 3 ივლისამდე. საბოლოოდ, 2013 წლის 3 ივლისს ქვეყნის თავდაცვის მინისტრ აბდ ალ–ფატაჰ ალ–სისის, ოპოზიციის ლიდერის მუჰამმად ელ–ბარადეის, მუსლიმური სასულიერო ცენტრის ალ–აზჰარის მთავარი იმამის აჰმად ალ–ტაიბისა და კოპტური ეკლესიის პატრიარქის თავადროს II–ის მიერ შექმნილმა საბჭომ

მურსი თანამდებობიდან გადაყენებულად გამოაცხადა, დაითხოვა პარლამენტი და მთლიანად მთავრობა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მურსის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრიდან დაიწყო, რამაც ქვეყანაში ღრმა შინა კრიზისი გამოიწვია. მუჰამად მურსის მიერ მიღებული დეკრეტის თანახმად, ხდებოდა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ნეიტრალიზება და ძლიერდებოდა პრეზიდენტის აღმასრულებელი ძალაუფლება უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებასთან შედარებით. სასამართლო ინსტიტუტების მიმართ განხორციელებული მანიპულაციები პრეზიდენტის მხრიდან ძალაუფლების კონსოლიდაციის აშკარა სიგნალი იყო. ამგვარმა ქმედებამ ხელი შეუწყო რეჟიმის ოპონენტების გაერთიანებას. სეკულარისტმა კონსტიტუციონალისტებმა, კოპტებმა და სხვა ჯგუფებმა შექმნეს კოალიცია და დაიწყეს აქციები. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად სამხედროები ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ. შეტაკებებში დაიღუპა ათამდე ადამიანი როგორც „ძმები მუსლიმების“, ასევე მათი ოპონენტების რიგებიდან. საერო პოლიტიკური ძალების წარმომადგენელებმა დაარბიეს ისლამისტების 28 ოფისი. მასობრივ საპროტესტო აქციებს კი მოჰყვა ის, რომ პრეზიდენტმა მურსიმ უარი თქვა გაზრდილ უფლებამოსილებაზე. რაც შეეხება მურსის საგარეო პოლიტიკურ კურსს, არჩევნებში გამარჯვების მეორე დღეს, ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ირანის საინფორმაციო სააგენტო „ფარს ნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი აპირებდა ამ ქვეყანასთან 30 წლის წინ შეწყვეტილი ურთიერთობების აღდგენასა და პოლიტიკურ–ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას, რაც მისი აზრით, ხელს შეუწყობდა რეგიონში ძალთა ბალანსის დამყარებას. „ფარს ნიუსის“ მიერ გავრცელებულ ინტერვიუში მურსიმ ასევე განაცხადა, რომ გადახედავდა ისრაელთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას. პრეზიდენტის პირველი საგარეო ვიზიტები შედგა ჩინეთსა და შემდეგ თეირანში გამართულ „მიუმხრობელ სახელმწიფოთა“ კონფერენციაზე.

ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ანვარ სადათისა და ჰოსნი მუბარაქის შემდეგ, რომლებიც ძირითადად აშშ–სა და უფრო მცირე მასშტაბით ევროპას ეყრდნობოდნენ თავიანთ საგარეო პოლიტიკაში, მურსის პირველი ვიზიტი ამ ორ ქვეყანაში ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსის სერიოზულ ცვლილებას წარმოადგენდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2012 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ღაზას სექტორში ისრაელისა და ჰამასის 9 დღიანი დაპირისპირების დროს მურსიმ მოახერხა პოლიტიკური

პრაგმატულობის დემონსტრირებაც. მან შეძლო შეენარჩუნებინა ბალანსი ჰამასისათვის სახელმწიფო დონეზე დახმარების და ისრაელთან მშვიდობის შენარჩუნების საკითხებში. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის დროს მან ქვეყნიდან გააძევა ისრაელის ელჩი და გამოიწვია საკუთარი, ხოლო ღაზას სექტორში ვითარების შესასწავლად და ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის მხარდაჭერის გამოხატვის მიზნით მიავლინა პრემიერ–მინისტრი ჰიშამ კანდილი, საბოლოოდ, ამერიკის შეერთებული შტატების თხოვნით, ბოლომდე შეასრულა შუამავლის როლი. აშშ, ისრაელი და ჰამასი მაღალ შეფასებას აძლევდა ეგვიპტის შუამავლობას ცეცხლის შეწყვეტის საკითხებში, რასაც საბოლოო მონაცემებით 150–ზე მეტი პალესტინელი და 5 ებრაელი ემსხვერპლა.

მურსის ერთწლიანი პრეზიდენტობის პერიოდში სულ უფრო იზრდებოდა მოსახლეობის უკმაყოფილება მოუგვარებელი სოციალური პრობლემების და დროდადრო რელიგიურ ნიადაგზე წამოჭრილი დაპირისპირებების გამო. (იხ. „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი #2, სიმონ გურეშიძე „ძმები მუსლიმები“ და კოპტები. http://www.iliauni.edu.ge/files/PDF3/123.pdf).

მიმდინარე წლის 3 ივლისს შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია „ძმები მუსლიმებისა“ და საერთოდ ქვეყანაში მოქმედი ისლამისტების გაღიზიანება და გააქტიურება. „ძმებმა“ თავიანთ მხარდამჭერებს მოუწოდეს მასობრივი საპროტესტო აქციებისკენ. თანამდებობიდან გადაყენებული პრეზიდენტის მომხრე რადიკალმა სალაფიტებმა განაცხადეს, რომ მათი მხრიდან გადადგმული საპასუხო ნაბიჯი ძალადობა და ტერორიზმი იქნებოდა. ალ–კაიდას ლიდერის, აიმან აზ–ზავაჰირის ეგვიპტეში მცოხვრებმა ძმამ მუჰამად აზ-ზავაჰირიმ „ძმებს“ მოუწოდა ჯიჰადის დაწყებისკენ რათა გადაერჩინათ მურსი და მისი ისლამისტური კურსი. „თუ კი სიტუაცია მივა დაპირისპირებამდე, ეს მხოლოდ ჩვენთვის იქნება სასარგებლო, რადგან ჩვენ არაფერი გვაქვს დასაკარგი. ყველგან და ყოველთვის სადაც ქაოსია გამეფებული, ასეთ მდგომარეობას მხოლოდ სარგებელი მოაქვს ჯიჰადისთვის“–განაცხადა მუჰამად ამ-ზავაჰირიმ, რომელიც ამჟამად სინაის ნახევარკუნძულზე იმყოფება. ეს ტერიტორია მთლიანად ვერ კონტროლდება ეგვიპტის ხელისუფლებისგან.

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გამოთქვა ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა. მისი აზრით, ქვეყნის ხელისუფლება როგორც არ უნდა ეცადოს სიტუაციის გაკონტროლებას, „ძმები მუსლიმების“ ორგანიზაციის ბოლომდე შეჩერებას ვერ შეძლებენ. ამის ნათელი დასტურია ის, რომ მათ მრავალწლიანი დევნის და იატაქვეშეთში ყოფნის გამოცდილება აქვთ და იციან როგორ იმოქმედონ. მისივე განცხადებით, ეგვიპტეში განვითარებული მოვლენები ძალზე წააგავდა გასული საუკუნის 90–იან წლებში ალჟირში მიმდინარე პროცესებს. ამ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მთავარი არსი გახდა ბრძოლა სამხედროებსა და ისლამისტებს შორის. 1992 წელს არჩევნების შედეგების გაუქმებამ, რომელშიც ისლამისტებმა გაიმარჯვეს, სათავე დაუდო მრავალწლიან სამოქალაქო დაპირისპირებას, რასაც 150 ათასი ადამიანის დაღუპვა მოჰყვა.

1999 წელს გამოცხადებული ამნისტიის შემდეგ ისლამისტებმა იარაღი დაყარეს, მაგრამ შემდგომ პერიოდში ქვეყანა მოიცვა აფეთქებების ძლიერმა ტალღამ, რომელიც ორგანიზებული იყო ისლამისტური დაჯგუფებების მიერ. ისინი თავიანთ თავს უწოდებდნენ „ალ-კაიდა ისლამური მაღრიბის მიწაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებს უჭირთ პირდაპირი დადასტურების მოძებნა რამდენად იყო ეს დაჯგუფება დაკავშირებული ოსამა ბენ ლადენთან, თავად მათი აქტივობის ხელწერა - უცხოელებზე თავდასხმები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის

აფეთქება ალჟირში - მიუთითებს იმაზე, რომ ეს დაჯგუფება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ალ–კაიდასთან.

დასავლელი ექსპერტები და აშშ–ის დაზვერვის ოფიცრებიც, სენატორ მაკკეინის მგავსად, მიიჩნევენ, რომ აღნიშნული საფრთხის ესკალაცია სავსებით რეალური და მოსალოდნელია ეგვიპტეში. გასული თვის აგვისტოში ორი ეგვიპტელი დააკავეს ამავე ქვეყნის აეროპორტში, რომელთა ბარგშიც აღმოაჩინეს სამხედრო ფორმები, ალ–კაიდას შავი დროშა და კომპიუტერის მეხსიერების ბარათები, რომლებზეს ჩაწერილი იყო ისლამისტური პროგპაგანდისტული მოწოდებები. მათი პასპორტების შესწავლისას კი გაირკვა, რომ აღნიშნული პირები ჯერ ჩეჩნეთში იმყოფებოდნენ, ხოლო შემდგომ სტამბოლის გავლით შეაღწიეს ქვეყანაში. მათი განცხადებით, აიმან აზ–ზავაჰირიმ მოუწოდა თავის იემენელ ხელქვეითებს ჩაეტარებინათ ტერორისტული აქტი სადმე დასავლეთში და ასევე გაავრცელა ზეპირი მითითება იმის შესახებაც, რომ ისლამისტებმა თავიანთი ბრძოლა უნდა აწარმოონ ეგვიპტეშიც. იგი ასევე ადანაშაულებდა ვაშინგტონს მურსის წინააღმდეგ განხორციელებულ გადატრიალებაში. მისივე სიტყვებით, ეს აქცია დაფინანსებული იყო სპარსეთის ყურის ქვეყნების მიერ და ყოველივე ამას ხელს უწყობდნენ ეგვიპტელი ქრისტიანებიც. ზემოთხსენებული ანალიტიკოსები და დაზვერვის სამსახურის თანამშრომლები ასევე მიიჩნევდნენ, რომ აჯანყებების და ძალადობრივი ქმედებების გაძლიერების შემთხვევაში, პროცესი შესაძლოა წლების განმავლობაში გაგრძელდეს; რადგან მსგავსი აქტივობის დაწყება ძალზე ადვილია, ხოლო შეჩერება რთული. მათივე განცხადებით, მსგავს პროცესებს ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორები: მოსახლეობის ლეგიტიმური უკმაყოფილება სახელმწიფოს მიმართ, ხელისუფლების მხრიდან კომპრომისების უგულვებელყოფა, განაწყენებული ხალხის დიდი რაოდენობა და იარაღის ხელმისაწვდომობა. აღნიშნული ფაქტორები კი ეგვიპტეში ნამდვილად არსებობს.

მურსის თანამდებობიდან გადაყენებას, როგორც მოსალოდნელი იყო, მოჰყვა ქრისტიანებზე ანგარიშსწორების ფაქტები ისლამისტების მხრიდან. ჯერ კიდევ 30 ივნისის საპროტესტო აქციებამდე პრეზიდენტის მხარდამჭერები ემუქრებოდნენ კოპტებს სახლებისა და ეკლესიების გადაწვით, თუკი ისინი მონაწილეობას მიიღებდნენ აღნიშნულ აქციებში. მათ მუქარა 3 ივლისს შეასრულეს და სოფელ ალ–მანიაში არსებულ წმინდა გიორგის ეკლესიას ცეცხლი წაუკიდეს. ჯერ კიდევ „არაბული გაზაფხულის“ დაწყებისთანავე არსებობდა ვარაუდები ისლამისტების გაძლიერების შემთხვევაში რელიგიურ ნიადაგზე წამოჭრილი დაპირისპირებების შესახებ. ცნობილია, რომ 80 მილიონიანი ეგვიპტის მოსახლეობის 10%-ს ქრისტიანები შეადგენენ. პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის მმართველობის პერიოდში ურთიერთობები ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის მეტნაკლებად დაბალანსებული იყო. საპროტეტსო აქციების დაწყებისთანავე კი გაიზარდა მსხვერპლი ქრისტიანებს შორის, 2011 წლის იანვარში კოპტური ეკლესიის აფეთქებისას და შემდგომ ამ ფაქტის ნიადაგზე გამოწვეული საპროტესტო აქციების დროს. ზოგადად, ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანთა ლიდერების გარკვეული ნაწილი მიესალმებოდა არაბულ ქვეყნებში დაწყებულ რევოლუციურ პროცესებს და მხარს უჭერდნენ უმრავლესობის მოთხოვნებს, მაგრამ რჩებოდა ისეთი კატეგორიაც, რომელიც შიშობდა, რომ ეს პროცესები გაზრდიდა რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების საფრთხეს, ისე როგორც ეს მოხდა ერაყში. ამ ქვეყანაში ერთ–ერთი მასშტაბური ძალადობრივი აქტი იყო 2010 წლის აგვისტოს თვეში კირკუკში ეკლესიის აფეთქება.

მარონიტული ეკლესიის ლიდერი ლიბანში პატრიარქი ბიშარა აცხადებდა: „შესაძლოა არაბული გაზაფხული იყოს არაბული ზამთრის პრელუდია რომელიც მოიტანს ძალადობას რელიგიურ ნიადაგზე“.

ასევე ზოგიერთი ქრისტიანი რელიგიური ლიდერიც მიიჩნევდა, რომ მათი მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა ქვეყანაში ავტოკრატული და საერო რეჟიმის შემთხვევაში.

მიმდინარე პროცესების პარალელურად, „ძმების“ ლიდერებმა ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები გააკეთეს თავიანთი სამომავლო გეგმების შესახებ. მათი ნაწილი მხარდამჭერებს მოუწოდებდა მშვიდობიანი აქციებისკენ, მეორე ნაწილი კი ითხოვდა მათგან თავგანწირვას და ბოლომდე ბრძოლას. ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევდა, რომ ორგანიზაციის ლიდერები დაბნეულები იყვნენ და ვერ გადაეწყვიტათ თუ როგორ მოქცეულიყვნენ შემდგომში. მათი მრავალი კოლეგა დააპატიმრეს დანარჩენები კი გაქცეულები იყვნენ და იმალებოდნენ. ანალიტიკოსთა მეორე ნაწილი თვლიდა რომ „ძმები“ მოლოდინის რეჟიმში იყვნენ და შემდგომ არჩევნებში გამარჯვების იმედი ჰქონდათ. ასევე არსებობდა გარკვეული მოსაზრებები იმის შესახებაც, რომ „ძმების“ მარცხი ეგვიპტეში ორგანიზაციის არსებობის დასასრულს მოასწავებდა, თუმცა ისრაელის ბეგინ–სადათის სტარეტგიული კვლევების ცენტრის დირექტორის, პროფესორ ეფრაიმ ინბარის განცხადებით, „ძმების“ წინააღმდეგ განხორციელებული გადატრიალება არ ნიშნავს პოლიტიკური ისლამის დასასრულს რეგიონში რადგან ორგანიზაცია კვლავ რჩება ძლიერ ძალად მთლიან ახლო აღმოსავლეთში. ინბარი და მისი კოლეგები ამერიკელი ექსპერტებისგან განსხვავებით მიიჩნევდნენ, რომ ძმები ძალადობას არ მიმართავდნენ, ისინი მოახდენდნენ თავიანთი რიგების რეორგანიზაციას და მომავალ არჩევნებში მოსინჯავდნენ ძალებს.

ოდნავ მოგვიანებით „ძმებმა“ პერმანენტული საპროტესტო აქციების გამართვა დაიწყეს კაიროსა და ალექსანდრიაში, რაც დროდადრო პოლიციასთან და არმიის ძალებთან დაპირისპირებით სრულდებოდა. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, აგვისტოს შუა რიცხვებში აქციების ოთხასზე მეტი მონაწილე იყო დაღუპული.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პრეზიდენტ მუბარაქის რეჟიმის დამხობის შემდეგ ქვეყანაში ლიბერალური დემოკრატიის გამყარების მოლოდინს საფრთხე შეექმნა. საპროტესტო აქციების მონაწილეებზე არმიის მიერ მიტანილმა იერიშებმა და საგანგებო მდგომარეობის შემოღებამ ნათლად გამოაჩინა, რომ გენერალი ფატაჰ ალ–სისი ეგვიპტის „ახალ მეფედ“ წარუდგა ქვეყნის მოსახლეობას. ისრაელის პრესაში გამოქვეყნებული მასალების თანახმად, მართალია ეგვიპტის ახალი მთავრობა აცხადებდა რომ ხელს შეუწყობდა გარდამავალ პროცესს და ჩაატარებდა არჩევნებს, მაინც მოსალოდნელი იყო, რომ არჩევნები არასამართლიანად ჩატარდებოდა და უახლოეს მომავალში პროცესები წარიმართებოდა სისის შეხედულებებისამებრ. ამ მოსაზრებას ამაგრებდა ახალი მთავრობის ვიცე–პრემიერის, მუჰამად ელ–ბარადეის პოსტიდან გადადგომა, რადგან მან აქციების მონაწილეების დარბევის მაგივრად მათთან მოლაპარაკებების გამართვის სურვილი გამოთქვა. მთავრობის ზოგიერთი წევრი მხარს უჭერდა მის ინიციატივას, მაგრამ როდესაც საქმე საბოლოო გადაწყვეტილებამდე მიდიოდა, რეალურ ძალას მაინც სამხედროები ფლობდნენ. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სამხედროების მიერ ზურგ გამაგრებულ ახალ მთავრობას უწევდა რადიკალურ ისლამისტურ ოპოზიციასთან დაპირისპირება და შექმნილი კრიზისიდან გამოსვლა შეუძლებელი იყო წესრიგის აღდგენის გარეშე. მურსის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ გახშირდა შემთხვევები, როდესაც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დაუდგენელი პირები თავს ესხმოდნენ პოლიციის საგუშაგოებსა და სამხედროებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. აგვისტოს თვის დასაწყისში ერთი–ერთი ასეთი შემთხვევას 25 პოლიციელი ემსხვერპლა. ამ აქციების საპასუხოდ ძალოვნებმა გაამკაცრეს რეიდები სინაიზე სადაც აღმოაჩინეს დოკუმენტები იმის შესახებ, რომ რადიკალი ისლამისტები გეგმავდნენ სამხედრო ხელმძღვანელების, მათ შორის

გენერალ სისის და პოლიციის მაღალჩინოსნების მკვლელობას. სიაში სულ ასამდე სამხედრო და პოლიციის მაღალჩინოსანი იყო შეყვანილი და იმავე რაოდენობის სამოქალაქო სექტორში მოღვაწე პირი. ეგვიპტის სპეცსამსახურების წარმომადგენელთა განცხადებით, ვერ დადგინდა, რამდენად იყო „ძმები მუსლიმების“ ორგანიზაცია ამ ოპერაციასთან დაკავშირებული და აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობდა გამოძიება, თუმცა ვარაუდობდნენ იმას, რომ თუ მთლიანად ორგანიზაცია არა, ზოგიერთი მათი ლიდერი უეჭველად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესში.

ჯერ–ჯერობით გაურკვეველია ფატაჰ ალ–სისი სრულ კონტროლს აიღებს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე თუ დარჩება კულისებს მიღმა და მისცემს პრეზიდენტსა და ტექნოკრატთა მთავრობას საშუალებას მართონ პროცესები. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნებიდან მუდმივად კეთდებოდა განცხადებები მათი შეშფოთების შესახებ და მუდმივად მოუწოდებდნენ ეგვიპტურ მხარეს მიეცათ „ძმებისთვის“ ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში აქტივობის საშუალება. თავად „ძმები მუსლიმები“ აქტიურობდნენ სოციალურ ქსელებში და თავიანთ მდგომარეობას აფასებდნენ მსხვერპლის პოზიციიდან და მათივე განცხადებით, არმიისა და მათი მხარდამჭერი მედიის ბრალდებები, თითქოს აქციების მონაწილეები შეიარაღებულები იყვნენ და თავს ესხმოდნენ უსაფრთხოების ძალების თანამშრომლებს, საფუძველს მოკლებული იყო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში პროცესები საკმაოდ არაპროგნოზირებადია და სიტუაცია დაძაბული რჩება. არც ერთი მხარე დათმობაზე წასვლას არ აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას სურს მოლაპარაკებების მეშვეობით დააბალანსოს სიტუაცია და ამ პროცესში შუამავლის როლი შეასრულონ სასულიერო ლიდერებმა, სამხედროები არ აპირებენ დათმობაზე წასვლას და აცხადებენ რომ არ დაუშვებენ მორიგ აქციებს და არეულობებს. თავის მხრივ, „ძმები“ აცხადებენ რომ მათ ხალხი უჭერს მხარს და კანონიერად გაიმარჯვეს არჩევნებში და მათი მომხრეთა რიცხვი მილიონებს აღწევს. ანალიტიკოსთა აზრით კი აჯანყებების დასაწყებად სულაც არ არის საჭირო მილიონობით მომხრე, მაგალითად იემენში სადაც მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები თავიანთ საელჩოებს ხურავენ, ალ–კაიდას იემენურ ფრთას მხოლოდ 1000 წევრიანი ბირთვი ჰყავს.

გამოყენებული მასალები:

http://gate.ahram.org.eg/News/383786.aspx
www.egyptindependent.com/news/brotherhood-continue-sit-ins-after-dispersal-leaves-many-dead
http://www.almasryalyoum.com/node/2036011
http://www.egyptindependent.com/news/attacks-police-facilities-churches-continue-pro-morsy-sit-ins-dispersed-force
http://www.egyptindependent.com/news/25-police-personnel-killed-rafah-attack
http://www.jpost.com/Middle-East/What-now-for-the-Muslim-Brotherhood-318840
http://gate.ahram.org.eg/News/382079.aspx
http://www.jpost.com/Middle-East/Analysis-Its-official-military-chief-Sisi-is-the-new-king-of-Egypt-323093
http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/beyond-gaza-the-foreign-policy-implications-of-morsis-power-grab
http://news.bbc.co.uk/hi/russian/in_depth/newsid_2584000/2584891.stm
http://www.aljazeera.net/NR/exeres/52FF2DB9-B92E-4117-A2EF-6A89C798C419.htm?GoogleStatID=9
http://kavkazcenter.com/russ/content/2011/12/02/87036.shtml

http://worldnews.nbcnews.com/_news/2013/08/08/19935461-analysis-egypt-has-all-the-ingredients-for-an-insurgency?lite
http://gate.ahram.org.eg/News/393711.aspx
http://www.egyptindependent.com/news/improvised-bomb-wounds-two-giza-police-station
http://www.egyptindependent.com/news/update-six-dead-thousands-pro-morsy-protesters-take-streets
http://www.egyptindependent.com/news/safwat-hegazy-arrested-en-route-libya

მარიამ გურეშიძე

„ქურთების ფაქტორი“ ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ პოლიტიკაში

ახლო აღმოსავლეთში „ქურთების ფაქტორს“ სულ უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ამის მიზეზს სირიაში, თურქეთში და ერაყში არსებული პოლიტიკური ვითარება წარმოადგენს. ზბიგნიევ ბჟეზინსკიმ ამასთან დაკავშირებით ჟურნალ „შპიგელთან“ ინტერვიუში განაცხადა - „ჩვენთვის ცნობილია, რომ სირიაში ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა შორის არიან სალაფიტები, რომელთაც საუდის არაბეთიდან აქვთ მხარდაჭერა. ჩვენ ვიცით, რომ იბრძვიან ასევე ერაყული დაჯგუფების წევრები და ქურთებიც“.

ახლოაღმოსავლეთის რეგიონში ქურთისტანს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ადგილი უჭირავს. ის წარმოადგენს მთიან ოლქს დასავლეთ აზიაში, რომელიც ძირითადად ქურთებითაა დასახლებული. ქურთისტანის დიდი ნაწილი მდებარეობს სომხეთისა და ირანის ზეგნებს შორის. სახელწოდებას უპირატესად ეთნოგეოგრაფიული მნიშვნელობით იყენებენ, ვინაიდან ქურთული სახელმწიფო არ არსებობს. ქურთები ცხოვრობენ ირანში, თურქეთში, სირიასა და ერაყში (ქურთისტანის ტერიტორიაზე), ლიბანში, ავღანეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ყაზახეთსა და თურქმენეთში.

ახლო აღმოსავლეთში დაახლოებით 30 მილიონი ქურთი ცხოვრობს. დღესდღეობით ქურთისტანი გაყოფილია ირანის, ერაყის, სირიის და თურქეთის მიერ. თურქეთში, სადაც არაოფიციალური და დაუზუსტებელი მონაცემებით 16 მილიონამდე ეთნიკური ქურთი ცხოვრობს, ისინი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს - 18–ს შეადგენენ. ხოლო ქურთების ეთნიკური ტერიტორიის ყველაზე დიდ მასივს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი წარმოადგენს. ეს არის ვანის ტბის გარშემო არსებული ტერიტორია და ქალაქი დიარბაქირი. ქურთები ასევე მიმოფანტულნი არიან ანატოლიაშიც. ირანში დაახლ. 7 მილიონი ქურთია, ხოლო ერაყში - დაახლ. 10 მილიონი. ერაყის ქურთისტანი ერბილის, დაჰუკის, სულეიმანისა და კირკუკის მუჰაფაზებს მოიცავს, რაც ერაყის ტერიტორიის ¼-ის ტოლია და ისინი ერაყის მოსახლეობის 1/3 შეადგენენ. სირიაში ქურთები (3,8-4 მილიონამდე) მსხვილ ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ - დაახლოებით მოსახლეობის 15%-ს. სირიელი ქურთები კომპაქტურად ცხოვრობენ კამიშლის, კობანის, ამუდეს, დერიკას, ალეპოსა და ხემკოს ქალაქებში. სხვადასხვა ქვეყნებში ასევე აქვთ ათასობით წარმომადგენლობისგან შემდგარი დიასპორა. საქართველოში 20 ათასზე მეტი ქურთი (რელიგიით იეზიდი) ცხოვრობს. ხოლო ევროპასა და ამერიკაში დაახლოებით 2,5 მილიონი - სადაც მათ ძლიერი და ორგანიზებული თემები შექმნეს. ქურთების უმრავლესობა ისლამის სუნიტურ მიმდინარეობას აღიარებს, უპირატესად შაფიიტური მაზჰაბის მიმდევრები არიან. ირანში მცხოვრები ქურთები ძირითადად შიიზმს აღიარებენ. თურქეთში მცირე ნაწილი – ალავიზმს. ასევე არიან ქრისტიანებიც და სინკრეტული კულტების მიმდევრები (იეზიდები). [1;2]

ქურთებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაუჩნდათ, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა და მის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოები აღმოცენდა. 1920 წელს სევრის სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, შეიქმნა ქურთების სახელმწიფოს დაფუძნების შესაძლებლობა თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მანდატის ქვეშ. თუმცა, ეს შეთანხმება ძალაში არ შესულა. 1923 წელს, ლოზანის შეთანხმების შედეგად ქურთული

ტერიტორიის ნაწილი გადაეცა თურქეთს, ხოლო მეორე ნაწილი დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მანდატის ქვეშ მოექცა, მოგვიანებით კი სირიისა და ერაყის შემადგენლობაში შევიდა.

სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა 2003 წელს. როგორც ცნობილია ქურთებმა ერაყში აშშ-ს დაუჭირეს მხარი. აშშ-ს თავდაპირველად ერაყის ტერიტორიაზე „მრავალეთნიკური ერაყული ნაციის“ შექმნა და უწინდელი პროვინციებისთვის ფედერაციის სტატუსის მინიჭება სურდა. თუმცა ერაყის ამჟამინდელი პრეზიდენტისგან მასუდ ბარზანისგან ამ შეთავაზებაზე მათ უარი მიიღეს. ბარზანიმ სხვა მოთხოვნები წამოაყენა. კერძოდ, ერაყის კონსტიტუციაზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა, თუ მასში არ იქნებოდა მითითებული ქურთების ფართო ავტონომიური უფლებები. საბოლოოდ, ქურთებმა საკუთარ მიზანს მიაღწიეს. ერაყის კონსტიტუციაში ქურთისტანს ფართო უფლებები მიენიჭა. 2005 წელს ჩატარებული რეფერენდუმის და მიღებული კონსტიტუციის თანახმად, ქურთები აღიარებენ ბაღდადის ხელისუფლებას, მაგრამ ამავე დროს მათ თავისუფალი მინიჭებული აქვთ ფართო პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებიც.

დღესდღეობით ერაყის ქურთისტანს პარლამენტისა და ხელისუფლების გარდა საკუთარი შეიარაღებული ფორმირება „პეშმერგა“ - پێشمەرگە („სიკვდილზე წამსვლელები“) ჰყავს. (დაახლოებით 80 ათასი შეიარაღებული მებრძოლი, თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით არის აღჭურვილი, ჯავშანტექნიკისა და ტანკების ჩათვლით). 1960-იან წლებში მათ ძირითად შეიარაღებას ჩეხური წარმოების თოფები წარმოადგენდა. 2005 წლის შემდეგ პეშმერგა ფორმალურად ერაყის ძალოვანი სტრუქტურების შემადგენელ ნაწილად ითვლება. თუმცა იგი ერაყის ქურთისტანის ხელისუფლებას ემორჩილება. სახელწოდება პეშმერგა ქურთმა მწერალმა, პოეტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ იბრაჰიმ აჰმედმა დაამკვიდრა.

ამჟამად ერაყში ქურთისტანი ერთადერთ სტაბილურ ზონას წარმოადგენს. ამერიკელები მას რეგიონში საკუთარ პლაცდარმად მიიჩნევენ.

„არაბული რევოლუციის“ ტალღამ კვლავ აქტუალური გახადა ქურთების საკითხი სირიაშიც. აღსანიშნავია, რომ სირიის ხელისუფლება მათ მოქალაქეებად არ აღიარებდა, არამედ თურქეთიდან დევნილთა სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული.

სირიაში ქურთები ძირითადად სირია-თურქეთის საზღვარზე ცხოვრობენ, სამ მსხვილ ანკლავში. ცნობილია, რომ ქურთები სირიაში დაწყებული აჯანყების დროს ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ. თუმცა, დღესდღეობით ქურთების სახით სირიის კონფლიქტში ახალი მოთამაშე გამოჩნდა. სირიელი ქურთების ბანაკში წამყვან პოლიტიკურ ძალას დემოკრატიული კავშირის პარტია წარმოადგენს. ის ჩამოყალიბდა 1946 წელს და აქტიურად მონაწილეობდა ერაყელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ხოლო 1958 წლის შემდეგ (ერაყში ივლისის რევოლუცია) შედიოდა ეროვნული ერთობის ფრონტში. [1; 2; 3; 4; 5; 6; 7]

უკანასკნელ პერიოდში საინფორმაციო საშუალებებით ვრცელდებოდა ინფორმაცია ქურთებსა და სირიაში მებრძოლ აჯანყებულებს შორის დაპირისპირების შესახებ. ცნობილია ასევე, რომ სირიის ტერიტორიაზე არსებული ქურთების პარტია თურქეთის ქურთების მუშათა პარტიასთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია ასევე, რომ სირიელი ქურთების თვალთახედვიდან, სირიის თავისუფალი არმია და მასთან დაკავშირებული ისლამისტური დაჯგუფებები რეგიონში თურქული პოლიტიკის გამტარებლები არიან. საკმაოდ მძიმე ვითარება შეიქმნა, როდესაც ისლამისტები ქურთებით დასახლებულ ქალაქ რას ალ-აინის შეიჭრნენ. სირიის თავისუფალ არმიასა და ქურთებს შორის სიტყვიერი შეთანხმება არსებობდა, რომ შეიარაღებული ოპოზიცია ქურთების მიერ კონტროლირებად რაიონებში არ უნდა

შესულიყო. არსებობს მოსაზრება, რომ ანკარას სირიაში მებრძოლ ოპოზიციაზე კონტროლის დამყარება სურს, რომ შემდგომში ამავე ოპოზიციით სირიაში ქურთების მოძრაობა ჩაახშოს.

ქალაქ რას ალ-აინის ასაღებად, ისლამისტებმა თურქეთის მხარეს 3 ათას მებრძოლს მოუყარეს თავი. ოფიციალური ანკარა მიიჩნევს და შეშფოთებულია, რომ სირიაში ქურთული ავტონომიის შექმნით გაორმაგდება ძალისხმევა და მოძრაობა თურქეთის ქურთისტანის გამოსაყოფად. თუმცა, თურქულ საინფორმაციო წყაროებში აღნიშნულია, რომ თურქეთი არ მონაწილეობს სირიაში მებრძოლების იარაღით მომარაგებაში. ცნობილია, რომ სირიის ოპოზიციის შეიარაღებას სუდანი ახორციელებს. ერთ-ერთმა თურქმა მაღალჩინოსანმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა. „ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით დახმარებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ჩვენ ოპოზიციას მხოლოდ ჰუმანიტარულ-ტექნიკურ თანადგომას ვუწევთ“. „ნიუ იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული დასკვნის თანახმად კი თურქეთი წარმოადგენს მარშრუტს, რომლის გავლით ჩინეთიდან და სუდანიდან წამოსული იარაღი სირიაში მებრძოლ ოპოზიციას მიეწოდება. აღნიშნული ინფორმაციით, შეიარაღება თავდაპირველად კატარში იგზავნებოდა და თურქეთის გავლით ხდებოდა აჯანყებულების მომარაგება. ოფიციალუმა სუდანმა უარყო ეს ფაქტი და განაცხადა: „ჩვენ არ ვართ დაინტერესებული სირიაში აჯანყებულების მხარდაჭერით, რადგან საბრძოლო ქმედებების შედეგი გაურკვეველია“. სუდანის არმიის წარმომადგენელმა, ალ-სავარმი ხალიდ საადმა განაცხადა, რომ ამგვარი მტკიცებულებები მხოლოდ იმიტომ არის წარმოდგენილი, რომ ზიანი მიაყენოს იმ ქვეყნებს, რომელთანაც სუდანს მეგობრული ურთიერთობები აქვს . [8;9]

ერაყის ქურთისტანის ლიდერმა მასუდ ბარზანიმ სირიაში განვითარებული მოვლენების გამო, ადგილობრივი ქურთების დასახმარებლად მზადყოფნა გამოთქვა. მისი განცხადებით თუ „ტერორისტების“ ხელით უდანაშაულო ხალხი დაიღუპა (ქალები და ბავშვები) ერაყელი ქურთები მეზობელ სირიაში აუცილებლად დაიცავენ ქურთების ინტერესს. [11]

სირიის ქალაქი რას ალ-აინი, რომელიც თურქეთის საზღვართან მდებარეობს 2013 წლის 17 ივლისს, ქურთების კონტროლის ქვეშ მოექცა. ბრძოლის შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა: ცხრა ისლამისტი მებრძოლი და ორი ქურთი სამხედრო პირი. ისლამისტების (რომელთა უმრავლესობა ჯებჰათ ალ-ნუსრას დაჯგუფებას მიეკუთვნება) კონტროლის ქვეშ დარჩა მხოლოდ საზღვარზე მდებარე საკონტროლო გამშვები პუნქტი. ისლამისტების დანაყოფის დიდი ნაწილი მახლობელ დასახლებულ პუნქტებში თელ ხალაფში, ასფარსა და ნაჯარში გადავიდნენ. [10]

გამოყენებული მასალები:

1. http://fortunascorner.wordpress.com/2013/05/01/zbigniew-brzezinski-on-obamas-syria-problem-we-didnt-have-a-strategy/
2. http://ar.wikipedia.org/wiki/%D9%83%D8%B1%D8%AF
3. http://arz.wikipedia.org/wiki/%D8%A7%D9%83%D8%B1%D8%A7%D8%AF
4.http://ar.wikipedia.org/wiki/%D8%A7%D9%84%D8%A3%D9%83%D8%B1%D8%A7%D8%AF_%D9%81%D9%8A_%D8%B3%D9%88%D8%B1%D9%8A%D8%A7
5. http://ckb.wikipedia.org/wiki/%D9%BE%DB%8E%D8%B4%D9%85%DB%95%D8%B1%DA%AF%DB%
6. http://en.wikipedia.org/wiki/Peshmerga
7. http://en.wikipedia.org/wiki/Zaza_people
8. http://www.jpost.com/Middle-East/Ankara-concerned-as-Kurds-seize-town-on-Syria-Turkey-border-320254

9. http://todayszaman.com/news-321226-turkish-govt-says-wont-tolerate-pyds-fait-accompli-in-northern-syria.html
10. http://todayszaman.com/news-323405-turkey-denies-delivering-sudanese-arms-aid-to-syrian-opposition.html
11. http://www.svoboda.org/content/article/25071944.html

თინათინ კუპატაძე

აქბარ განჯი - მშვიდობისთვის მებრძოლი თანამედროვე ირანელი ინტელექტუალი

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ირანი იმ გამორჩეულ ქვეყანას წარმოადგენს, სადაც ინტელექტუალთა ფენა საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენდა და ახდენს საზოგადოებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. 1979 წლის რევოლუციის იდეოლოგიის ჩამოყალიბებასაც სწორედ რელიგიურ ინტელექტუალთა შეხედულებებმა, ნაწერებმა, ლექციებმა თუ იდეებმა შეუწყო ხელი.

თანამედროვე ირანელი ინტელექტუალებიდან ერთ–ერთ ყველაზე საინტერესო ფიგურას წარმოადგენს აქბარ განჯი - „ირანელი ვაცლავ ჰაველი“, [1] რომელსაც დემოკრატიული აქტივობის, ადამიანისა და პრესის უფლებათა დაცვისათვის არაერთი საერთაშორისო ჯილდო აქვს მიღებული.

აქბარ განჯი დაიბადა 1960 წ. რელიგიურ ოჯახში ქ. თეირანის ღარიბულ, სამხრეთ უბანში. იგი, ბევრი თანამემამულის მსგავსად, მწვავედ აკრიტიკებდა პროდასავლურად განწყობილ, მაგრამ სინამდვილეში ავტოკრატ შაჰსა და მის პოლიტიკას, მხარს უჭერდა აიათოლა ხომეინის და ისლამურ რევოლუციას. 1980-იანი წლების დასაწყისში აქბარ განჯი ჯერ ირანის ისლამური რესპუბლიკის ახალი მთავრობის რევოლუციის გუშაგთა საბჭოს წევრი იყო, ხოლო შემდეგ მუშაობდა კულტურის სამინისტროში. უკვე 1980-იანი წლების მიწურულს, ცხადი გახდა რა, რომ 1979 წლის რევოლუციამ ვერ მოუტანა ირანულ საზოგადოებას ვერც თავისუფლება, ვერც დემოკრატია და ადამიანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც უკეთესობისაკენ არაფერი შეიცვალა, აქბარ განჯი, ბევრი სხვა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწისა თუ პოლიტიკური აქტივისტის მსგავსად, ნელ-ნელა ჩამოშორდა რევოლუციურ გზას და შეიძლება ითქვას, რომ მისმა აზროვნებამაც შესამჩნევი მეტამორფოზა განიცადა. 1994-95 წლებიდან ის უკვე ღიად უპირისპირდება რევოლუციურ მთავრობას: „მე დავინახე, რომ ირანში იზრდებოდა ფაშიზმი და პოლიტიკური ტირანია, ვინმე თუ ზედმეტ შეკითხვას დასვამდა, ან აზრს გამოთქვამდა, ის მაშინვე ანტი-ისლამურად ინათლებოდა... [2]

პოლიტიკური კარიერის შემდეგ აქბარ განჯიმ მოღვაწეობა უკვე ჟურნალისტის რანგში განაგრძო და სტატიებს აქვეყნებდა ისეთ პრო-დემოკრატიულ გაზეთებში, როგორიც გახლდათ „სობჰ-ე ემრუზ“, „ხორდად“, „ფათჰ“ და ა.შ., რომელთა უმეტესობაც შემდგომში დაიხურა რეფორმისტული მოძრაობების წინააღმდეგ კლერიკალების მიერ გატარებული „სადამსჯელო“ ღონისძიებების დროს. ჟურნალ-გაზეთებში სტატიების გამოქვეყნების შემდეგ აქბარ განჯიმ წიგნებზე მუშაობა დაიწყო და მათი მეშვეობით აცნობდა საზოგადოებას საკუთარ ნააზრევსა და იდეებს. მისი წიგნებიდან ყველაზე მნიშვნელოვანს, ალბათ, „თარიქხანეიე აშბაჰ“ („მოჩვენებათა საპყრობილე“ (1999 წ.) და „ალიჯენაბ-ე სორხფუშ ვა ალიჯენაბე ხაქესთარი“ („მისი აღმატებულება წითელი და მისი აღმატებულება ნაცრისფერი“ (2000 წ.) წარმოადგენს, სადაც ავტორმა, მსგავსად ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიებისა, მწვავედ გააკრიტიკა ისლამური რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანიცა და ხელისუფლების წარმომადგენელი სხვა კლერიკალები. მეტიც, მან სწორედ პრეზიდენტსა და ინფორმაციის (უშიშროების) მინისტრ ხოჯათოესლამ ალი ფალაჰიანს დასდო ბრალი 1988-98 წწ. დისიდენტი მწერლებისა და ინტელექტუალების გაუჩინარება-მკვლელობებში

მონაწილეობაში, რაც ირანის ისტორიაში „მკვლელობათა სერიად“, „მკვლელობათა ჯაჭვის“ სახელითაა ცნობილი. ამ წიგნებმა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებაზე და შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული როლიც ითამაშა 2000 წლის საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატორთა მარცხზე.

2000-2006 წწ. აქბარ განჯი სასჯელს იხდიდა ევინის ციხეში ეროვნული უსაფრთხოებისათვის საზიანო, კონფიდენციალური ინფორმაციის მოძიებისა და ანტიისლამური პროპაგანდის გამო. მიუხედავად პატიმრობისა და ციხის მკაცრი პირობებისა, მას არ დაუყრია ფარ-ხმალი და ციხიდან ჩუმად ავრცელებდა თავის ნაწერებს, კვლავ თამამად აკრიტიკებდა ირანის სულიერ ლიდერსა და პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადის მთავრობას. ციხიდან გამოსვლის შემდეგ აქბარ განჯიმ დატოვა ირანი და აღარ დაბრუნებულა იქ. იგი მოღვაწეობას აგრძელებს ლონდონსა და აშშ-ში, ინტენსიურად აქვეყნებს სტატიებს, ატარებს ლექციებს სხვადასხვა თემებზე, რომელთა შორისაც წამყვანი ადგილი, რა თქმა უნდა, ირანს და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებს უკავია. აბდოლქარიმ სორუშისაგან განსხვავებით, რომლის უმთავრეს კვლევის საგანს ისლამის რეინტერპრეტაცია, ადამიანისა და ქალთა უფლებები წარმოადგენს, აქბარ განჯისთვის ცენტრალური ადგილი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის შეფასებას, საგარეო და საშინაო საფრთხის გაანალიზებასა და გამოსავლის პოვნას, ასევე დემოკრატიისათვის თავდაუზოგავ ბრძოლას უკავია.

ირან-ამერიკის ურთიერთობა არა მარტო განჯისთვის, არამედ საერთაშორისო პოლიტიკისთვისაც ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს. სწორედ ამ ჭრილში განიხილავს განჯი რიგ აქტუალურ საკითხებს, შეეხება ეს ადამიანის უფლებებსა თუ ქვეყნის პოლიტიკურ ამინდს. მისთვის, ისევე როგორც ბევრი სხვა ირანელისათვის, ამერიკა „ცხვრის ქურქში გადაცმულ მგელს“ წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა კეთილი ზრახვებითა და აღმოსავლეთის ქვეყნებში მშვიდობის დამყარების მოტივით მოქმედებს. „როდესაც ვუყურებთ ახლო აღმოსავლეთის განვლილ ისტორიას, ვხედავთ, რომ დასავლეთი და ამერიკა იყო ის ძალა, რომელმაც ხელი შეუწყო იქ დიქტატორული რეჟიმების დამყარებას, რომელთა დაცვა და მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, ემსახურებოდა აშშ-ს ინტერესებს, მაგრამ ფაქტია, რომ დასავლეთი თავის მიზანს ბოლომდე მაინც ვერ აღწევდა“. [3]

იმის გამო, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი ნაწილი გასული საუკუნის მანძილზე ტირანული ხელისუფლების ხელში იყო, ადგილობრივებისათვის ერთადერთ გამოსავალსა და ალტერნატივას რელიგიური ფუნდამენტალიზმი წარმოადგენდა. 1979 წ. ისლამური რევოლუციაც ამერიკისა და ზოგადად დასავლური სამყაროსათვის იმ პოლიტიკის საზღაურს წარმოდგენს, რომელსაც ატარებდნენ ისინი ირანში 1940-50-იან წლებში და რომლის გვირგვინსაც 1953 წ. პრემიერ-მინისტრ მოსადეყის დამხობა წარმოადგენს. ამჟამად დასავლეთი უკვე ძლიერი, ღონიერი, აგრესიული ფუნდამენტალიზმის წინაშე დგას (იქვე). ამ ყველაფერს ემატება ირანის ბირთული პროგრამაც, რომელიც დასავლეთისათვის სერიოზულ თავსატეხს წარმოადგენს. აშშ-ს მთავარი მიზანი ნებისმიერ ფასად ამ პროგრამის შეჩერება გახლავთ და ამიტომაც ცდილობ ის, გაეროსთან ერთად, ირანისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებას და ამით ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევას. აქბარ განჯი საკმაოდ კრიტიკულად აფასებს ამერიკის პოლიტიკას ირანის მიმართ და ცდილობს თავისი გამოსვლებისა თუ სტატიების მეშვეობით დააფიქროს მსოფლიო საზოგადოება სანქციების მძიმე შედეგებსა და ქვეყნის მოსახლეობაზე დამღუპველ ზეგავლენაზე. სწორედ ამ მიმართულებით გვევლინება აქბარ განჯი ირანელი ხალხის უფლებათა აქტიურ დამცველად, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს ირანის პრობლემებით საერთაშორისო საზოგადოების დაინტერესებას. გაეროს

გენერალური მდივნის, ბან გი მუნისადმი მიწერილ წერილში განჯი საუბრობს ქვეყნის საერთაშორისო და შიდა იზოლაციაზე. საერთაშორისო იზოლაციში, რა თქმა უნდა, გულისხმობს ამერიკის ზეწოლასა და მის განზრახვას, განახორციელოს საომარი მოქმედება ირანის წინააღმდეგ, ხოლო რაც შეეხება შიდა იზოლაციას, აქ აქბარ განჯი გულისხმობს დესპოტურ სახელმწიფო რეჟიმს, რომელიც მაქსიმალურად ზღუდავს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ამყოფებს მათ. ამერიკას ქვეყნის შიგნით შექმნილი მდგომარეობა საშუალებას აძლევს კარგად მოირგოს ადამიანის უფლებათა დამცველის ნიღაბი და რაც შეიძლება მეტად ჩაერიოს ქვეყნის საშინაო საქმეებში და „მოაგვაროს“ მისი პრობლემები - სამხედრო თუ სხვა გზით. მაგრამ 1953 წლის გადატრიალება და ამერიკის მხრიდან შაჰის პოზიციების დაცვა-გამაგრება, საკმარისი მაგალითებია აშშ-ს რეალური ზრახვების ამოსაცნობად. [4] ამ ვითარებაში აქბარ განჯისთვის ყველაზე მიუღებელი ხელისუფლების რეაქციაა, რომელიც მოხერხებულად იყენებს ომის მუქარას და ქვეყნის მასშტაბით აქტიურად ამუშავებს სამხედრო თუ ძალოვან სტრუქტურებს წესრიგის დასამყარებლად; ხურავს მედია საშუალებებს, აპატიმრებს ადამიანის უფლებათა დამცველებს და ადანაშაულებს მათ დასავლეთის აგენტობაში. ასეთ დროს ადამიანებს მუდმივი კონტროლის ქვეშ უწევთ ცხოვრება და ერთადერთი საშუალება საკუთარი უფლებების დასაცავად სხვადასხვა სოციალურ ფენებში გახლავთ არასამთავრობო ორგანიზაციები. [5] ამ მხრივ, განსაკუთრებით რთულად იყო საქმე წინა პრეზიდენტების ჯორჯ ბუშისა და მაჰმუდ აჰმადინეჟადის მმართველობის პერიოდში. როდესაც პრეზიდენტი ბუში აცხადებდა, რომ ირანელ რეფორმისტებს მასზე უკეთესი პარტნიორი არ ჰყავდათ, ამით ის უფრო მეტად ვნებდა რეფორმისტულ მოძრაობას, რადგან ირანის ფუნდამენტალისტ მეთურებსა და ხელმძღვანელობას ამით ეძლეოდათ საშუალება, წარმოედგინათ რეფორმისტები, და არამარტო ისინი, „ამერიკელ აგენტებად“, რომელთა მთავარ მიზანსაც ამერიკის ირანში ინტერვენცია წარმოადგენდა. [6]

ამერიკის ირანზე სამხედრო თავდასხმის „შესაძლებლობაც“ კი მაქსიმალურად აფერხებს პროდემოკრატიული ძალების მოღვაწეობას და არცერთ ირანელს, მათ შორის არც აქბარ განჯის, არ სურს ნახოს იგივე სცენარი თავის ქვეყანაში, რაც ამერიკამ ერაყსა და ავღანეთში დადგა. ამერიკა რადიკალური სამხედრო მოქმედებებით ყოველთვის ამძაფრებდა მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში და დემოკრატიის დამყარების ნაცვლად, მის განადგურებას უფრო უწყობდა ხელს. [7]

ცხადია, არც ეკონომიკური სანქციები და არც მოსალოდნელი ომის საფრთხე ქვეყნის კეთილდღეობაზე დადებითად არ მოქმედებს. თუ რა დამანგრეველ შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს ეკონომიკურმა სანქციებმა ქვეყანა, ამისათვის ერაყის მაგალითიც საკმარისია. სანქციების ათწლიანმა პერიოდმა ავნო არა სადამ ჰუსეინსა და მის რეჟიმს, არამედ მოსახლეობას. ათასობით ადამიანი ჩააგდო უკიდურეს გაჭირვებაში და სიკვდილამდე მიიყვანა. საბოლოოდ კი ერაყსა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც პრობლემა მოგვარდა არა სანქციების წყალობით, არამედ სამხედრო ინტერვენციით, რამაც ეს ქვეყნები წლობით დახია უკან განვითარების თვალსაზრისით. [8]

ის ფაქტი, რომ აქბარ განჯი კატეგორიულად ეწინააღმდეგება და უარყოფითად აფასებს ამერიკის პოლიტიკას ირანის მიმართ, არ ნიშნავს, რომ იგი ქვეყნის ხელისუფლებითა და შექმნილი მდგომარეობით კმაყოფილია, მაგრამ თვლის, რომ ირანმა საკუთარი პრობლემები თვითონ უნდა დაძლიოს, გარეშე ძალის უხეში, ძალისმიერი ჩარევის გარეშე. იგი მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების თანადგომას ითხოვს ადამიანის უფლებათა ბრძოლის დროს. მაჰმუდ აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის დროს აქბარ განჯი გამუდმებით ცდილობდა ეჩვენებინა ხელისუფლების დესპოტური და კრიმინალური სახე, რომელსაც უამრავი პროგრესულად მოაზროვნე თუ პრო-დემოკრატიული აქტივისტი ემსხვერპლა. აქბარ განჯისთვის ყოვლად მიუღებელი გახლდათ ირანის 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენები, რომლის დროსაც ქვეყნის ხელისუფლების მიერ დარაზმულმა ბასიჯებმა და სხვა ძალოვანმა სტრუქტურებმა უამრავი უდანაშაულო ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს.

ირანის ისლამური რესპუბლიკა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია და წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციაზე ხელის მომწერ ერთ-ერთ ქვეყანას, ვალდებულია რომ არათუ დაიცვას აღნიშნული დეკლარაციის დებულებები, არამედ ადამიანის უფლებათა დარღვევის ნებისმიერ შემთხვევაზე შესაბამისი რეაგირება მოახდინოს. არც ერთ სახელმწიფოს არ ეპატიება დანაშაულთან თანამშრომლობა, მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებების დარღვევას. [8] მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში ირანის ხელისუფლება უფრო ადამიანის უფლებების დარღვევას უწყობდა ხელს, ვიდრე დაცვას, სწორედ ამიტომ გამოდიოდა აქბარ გაბჯი მაჰმუდ აჰმადინეჟადის რეჟიმის წინააღმდეგ და მოუწოდებდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და გაეროს, საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაეცათ მისი საქმე კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო. გაეროს გენერალური მდივნის ბან გი მუნისადმი მიწერილ წერილში აქბარ განჯი აღნიშნავდა: „ისლამური რესპუბლიკა ფუნდამენტური სახელმწიფოა, რომელიც არ ცნობს პირად სფეროს. ის არღვევს უხეშად ადამიანის უფლებებს. იცით თქვენ თუ არა, რომ ადამიანის უფლებათა დამცველებს, პოლიტიკურ დისიდენტებსა და პრო-დემოკრატიულ ძალებს ირანში ლეგალურად აქვთ ჩამორთმეული სოცოხლის უფლება?! ისლამური სისხლის სამართლის კანონის 226-ე მუხლისა და 295-ე მუხლის „ბ“ სექციის „ე“ პარაგრაფის მეორე შენიშვნის თანახმად, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს მეორე ადამიანის ბედი მისი სიცოცხლის უფლების დარღვევითა და იმოქმედოს რელიგიური უფლების გამოყენებისა და საზოგადოებისათვის საფრთხის არიდების სახელით... გამოდის, რომ არც დისიდენტსა და არც პოლიტიკურ აქტივისტს სიცოცხლის არანაირი უფლება არ აქვს ირანში... იცით თუ არა, რომ ირანში ბევრ მწერალს ეკრძალება წერა?! პრესის კანონის მე-9 მუხლის მე-8 პარაგრაფის მე-2 შენიშვნის თანახმად, იმ მწერლებს, რომლებიც ეწევიან მმართველი სისტემის წინააღმდეგ პროპაგანდას, ჩამორთმეული აქვთ ბეჭდვის უფლება?! სასამართლოს ვერდიქტის თანხმად კი ნებისმიერი სახელმწიფო ფიგურის ნებისმიერი კრიტიკა მმართველი სისტემის კრიტიკას ნიშნავს?!...“ [9] სწორედ ამის გამო ითხოვს განჯი საერთაშორისო საზოგადოების გააქტიურებას: ირანელ ხალხს მძიმე დღეები უდგას, მათ სჭირდებათ მშვიდობის დამცველთა მორალური დახმარება მსოფლიო მასშტაბით და ასევე გაერთიანებული ერების ეფექტური მოქმედება. ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით ირანზე სამხედრო შეტევის განხორციელებას. ვიმედოვნებთ, რომ გაეროს შესაბამისი რეაგირება ექნება მთელ რიგ უსამართლობებზე, რომელსაც ადგილი აქვს ირანში და ამ საკითხის განხილვასაც ისე აქტიურად შეუდგება, როგორც ეს ურანით გამდიდრების პროგრამის განხილვასთან

დაკავშირებით ხდება ხოლმე. [9] მაგრამ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა საჭიროა თვითონ ირანელების გაერთიანება ერთი მიზნისათვის - დემოკრატიისა და მშვიდობის მოპოვებისთვის. „ყოველი ჩვენგანი უნდა გახდეს ირანელი განდი, მანდელა და ვაცლავ ჰაველი... [8]

2013 წ. ირანის ისლამური რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში რეფორმისტი ჰასან როუჰანის გამარჯვების შემდეგ აქბარ განჯიმაც შეარბილა ხელისუფლების კრიტიკის ტონი და ქვეყნის სწორი პოლიტიკური კურსის წარმართვის თაობაზეც გამოთქვა საფუძვლიანი მოსაზრება: „ჰასან როუჰანი გამოცდილი დიპლომატია, რომლის პრეზიდენტობის პერიოდიც აბსოლუტურად განსხვავებული იქნება მისი წინამორბედისგან. ამას ადასტურებს როუჰანის წინასაარევნო გამოსვლები, სადაც ის აკრიტიკებდა მაჰმუდ აჰმადინეჟადის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და ირან-ამერიკის ურთიერთობის ომის გარეშე მოგვარებაც სავსებით შესაძლებლად მიაჩნია...[10]

ირანის საგარეო მშვიდობიანი პოლიტიკური კურსის განვიათრებისა და ირან-ამერიკის ურთიერთობის შედარებით დათბობისათვის საჭიროა გარკვეული გარანტიები და წინაპირობები, რომელიც ორივე ქვეყნისათვის მისაღები იქნება. ირანში ეს გარანტიები პირველრიგში სულიერი ლიდერისთვის უნდა მისაღები და დამაკმაყოფილებელი, რადაგნ სწორედ ის წარმოადგენს ქვეყნის მთავარ ფიგურას და არა პრეზიდენტი, რომლის თანხმობის გარეშე არ ხდება არანაირი გადწყვეტილების მიღება და მისი კეთილი ნების გარეშე ვერც ირანისა და მერიკის ურთიერთობა დარეგულირდება. ხამენეის სჭირდება იცოდეს, რომ ვაშინგტონი არ შეუქმნის საფრთხეს ისლამურ რესპუბლიკას და არ ეცდება მის დანგრევას. აშშ-ს თავის მხრივ სურს დარწმუნდეს იმაში, რომ ირანის ბირთვული პროგრამა მართლაც მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის იქნება განკუთვნილი, რომ ირანი არ დაბლოკავს რეგიონულ საზღვაო გზებსა და ისრაელს საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ საზღვრებში თავისუფლად მოძარობის საშუალება ექნება. ირანს შეუძლია დაარწმუნოს აშშ ბირთვული პროგრამის უსაფრთხოებაში მისი უფრო გამჭვირვალეობითა და საერთაშორისო ატომური სააგნეტოს მიერ დადგენილი ნორმების შესრულებით... დასავლეთმაც თავის მხრივ უნდა დაარწმუნოს ირანი ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის დამყარების გეგმას ამოფარებული არ შეეცდება ირანის ისლამური რეჟიმის დამხობას. ასევე უკეთესი იქნება, რომ დასავლეთმა შეამსუბუქოს ირანისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები, აყენებს რა ის ირანელ ხალხს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. [11]

ირან-ამერიკის სამომავლო და სასურველი ურთიერთობებზე საუბრისას და მისი შეფასებისას, აქბარ განჯი კიდევ ერთხელ ცდილობს საკუთარი აზრის საქვეყნოდ დაფიქსირებას – რომ მისთვის, ბევრი სხვა ირანელის მსგავსად, მიუღებელია როგორც ომი, ისე ეკონომიკური სანქციები, ვინაიდან ქვეყნის ხანგრძლივი იზოლაციის შედეგი მხოლოდ „ყოველდღიური თვითგადარჩენისთვის ბრძოლა, ადამინის უფლებების მარგინალიზაცია და ირანის სოციალური ფაბრიკის დაშლა იქნება“. აქბარ განჯი იმედოვნებს, რომ ორივე მხრიდან კონსტრუქციული ნაბიჯები გადაიდგმება ქვეყნებს შორის ურთიერთობის სტაბილიზაციისათვის, მაგრამ ირანის წისვლისათვის და საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსასვლელად მხოლოდ ეს არაა საკმარისი. აუცილებელია საშინაო პოლიტიკის გადახედვაც და ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ზრუნვა, როგორიცაა ქვეყნის დემოკრატიზაცია და ადამინის უფლებების დაცვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://blogs.ssrc.org/tif/2008/12/23/akbar-ganji-in-conversation-with-charles-taylor/;
2. Molavi, Afshin, *The Soul of Iran*, Norton, 2005, გვ.156;
3. http://bostonreview.net/BR35.3/ganji.php;
4. http://www.nybooks.com/articles/archives/2007/nov/22/the-us-and-the-plight-of-the-iranians/
5. http://www.radiofarda.com/content/o1_ganji_UN_can_help/381254.html
6. http://www.bbc.co.uk/persian/iran/2011/06/110615_ganji_iran_worst_scenario.shtml
7. http://globetrotter.berkeley.edu/people6/Ganji/ganji-con5.html
8. گنجی، اکبر، با این رژیم چه باید کرد؟ 1988، ص. 5
9. http://www.nybooks.com/articles/archives/2007/nov/22/the-us-and-the-plight-of-the-iranians/
10. http://www.bostonreview.net/world/akbar-ganji-olive-branch-irans-presidential-election
11. http://iranian.com/posts/view/post/19695

ბერნარდ ლუისი

ირანი ისტორიაში*

ირანის ისტორიაზე მსჯელობა, შესაძლოა, კონკრეტული პერიოდიდან, არაბულ-ისლამური დაპყრობებით უნდა დავიწყოთ, ანუ VII საუკუნიდან – იმ ეპოქალური მოვლენებით, რომელიც მოჰყვა მუჰამადის მოღვაწეობას, ისლამის შექმნას, უზარმაზარი ტერიტორიების დაპყრობას პირენეედან ინდოეთისა და ჩინეთის საზღვრებამდე და უკიდეგანო არაბულ-ისლამური იმპერიის წარმოქმნას. ეს მოვლენები სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა და აღიქმება ირანში: ერთნი წყალობად, ჭეშმარიტი რწმენის მოვლინებად, უმეცრებისა და წარმართობის ეპოქის დასასრულად მიიჩნევენ, მეორენი კი - დამამცირებულ ნაციონალურ მარცხად, ქვეყნის უცხო აგრესორის მიერ დაპყრობად და დამორჩილებად. ორივე აღქმას, ბუნებრივია, არსებობის უფლება აქვს და მას ირანისადმი შემფასებლის დამოკიდებულება განაპირობებს.

პირველ რიგში, ალბათ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რა მოხდა ირანში და რა მოხდა ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდ. აფრიკის ყველა დანარჩენ დაპყრობილ ქვეყანაში, რომლებიც ისლამური სახალიფოს ნაწილი გახდნენ VII-VIII საუკუნეებში.

ძველი ცივილიზაციების ეს სხვა ქვეყნები – ერაყი, სირია, ეგვიპტე, ჩრდ. აფრიკა – გამუსლიმდა და არაბიზებულ იქნა უმოკლეს ვადაში. ძველი რელიგიები ან დავიწყებას მიეცა, ან მხოლოდ მცირერიცხოვან თემებში შემორჩა. მათი ძველი ენები თითქმის მთლიანად გაქრა. ზოგიერთმა არსებობა განაგრძო რელიგიურ-წერილობითი და ლიტურგიის სახით, ზოგიერთი შემორჩა მცირე რაოდენობის პერიფერიულ სოფლებში. მაგრამ ხალხების უმრავლესობამ ადრეული ენები დაივიწყა, ამ ენებით გამოხატული იდენტობები შეიცვალა და ერაყის, სირიისა და ეგვიპტის ძველმა ცივილიზაციებმა გზა დაუთმეს იმას, რასაც ჩვენ დღეს არაბულ სამყაროს ვეძახით.

ირანის შემთხვევაში კი მოხდა ქვეყნის ისლამიზაცია, მაგრამ არა არაბიზაცია. სპარსელები სპარსელებად დარჩნენ. ხოლო გარკვეული დროის შემდეგ ირანი აღორძინდა, როგორც გამოცალკევებული და განსხვავებული ელემენტი ისლამის შიგნით და ამასთან, საკუთრივ ისლამიც ახალი ელემენტებით გაამდიდრა. კულტურული, პოლიტიკური და რაც ყველაზე თვალსაჩინოა, რელიგიური თვალსაზრისითაც, ახალ ისლამურ ცივილიზაციაში ირანული კონტრიბუცია განუზომელი მნიშვნელობისაა. კულტურული მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში, არაბული პოეზიის ჩათვლით (ირანული წარმომავლობის პოეტები არაბულადაც წერდნენ ლექსებს), ირანული წვლილი უაღრესად ფასეული იყო. გარკვეული თვალსაზრისით, ირანული ისლამი საკუთრივ ისლამის მეორე გამოვლენაა, ახალი ისლამია. სწორედ სპარსული ისლამი და არა იმდენად არაბული ისლამი, მიეწოდებოდა ახალ რეგიონებსა და ახალ ხალხებს; თურქ ხალხებს, თავდაპირველად ცენტრალურ აზიაში და შემდეგ ახლო აღმოსავლეთში – იმ ქვეყანაში, რომელსაც დღეს თურქეთს ვუწოდებთ და, რა თქმა უნდა, ინდოეთში. ოსმალო თურქებმა ირანული ცივილიზაციის გარკვეული ფორმა მიიტანეს ვენის კედლებამდე. XVII საუკუნის თურქი მოგზაური, რომელიც ოსმალური ელჩობის წევრის რანგში ჩავიდა ვენაში, გაოცებული აღნიშნავს, რომ ენა, რომელზეც ვენაში ლაპარაკობდნენ, სპარსულის დამახინჯებული ფორმა იყო. რა თქმა უნდა, ის ამ შემთხვევაში ამჩნევდა სპარსულისა და გერმანულის საბაზისო ინდოირანულ ნათესაობას და იმ ფაქტსაც, რომ თუ გერმანელები ამბობენ *ისთ*, სპარსელები ამბობენ *ასთ* თითქმის ერთი და იგივე მნიშვნელობით "ყოფნა" ზმნისათვის მესამე პირის მხოლობითში.

---

* Bernad Lewis. "Iran in History". თარგმნა გიორგი სანიკიძემ. შემოკლებული თარგმანი შესრულებული გამოცემიდან Lewis, Bernad. *From Babel to Dragomans. Interpreting the Middle East*. London; Phoenix, 2004, pp.53-64.

XIII საუკუნეში, მონღოლთა შემოსევების დროისათვის, ირანული ისლამი იყო უკვე არა მხოლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტი, არამედ საკუთრივ ისლამის დომინანტი ელემენტი და მრავალი საუკუნის მანძილზე ისლამური სახელმწიფოებრიობის მთავარი ცენტრები მდებარეობდა იმ ქვეყნებში, რომლებიც თუ მთლიანად ირანული არა, ყოველ შემთხვევაში, ირანული კულტურით იყო ნიშანდებული. ამ თვალსაზრისით, ამ პირველობის უკანასკნელი გამოწვევა მოხდა არაბულ სამყაროში შექმნილი უკანასკნელი სახელმწიფოებრიობით, ეგვიპტეში მამლუქთა სასულთნოთი. მაგრამ ეს ციტადელიც გაქრა სპარსელებსა და ოსმალოებს შორის მეტოქეობისას, როდესაც ამ უკანასკნელებმა გადაწყვიტეს დაეპყრათ ეგვიპტე. არაბული სუვერენობით არაბული ისლამი შემორჩა მხოლოდ არაბეთში და ისეთ დაშორებულ მხარეებში, როგორიც იყო მაროკო. ისლამურ სამყაროს ცენტრი თურქებისა და სპარსელების გამგებლობას ექვემდებარებოდა და ორივენი ირანული კულტურით იყვნენ ნასაზრდოები. ისლამის მთავარი ცენტრები გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში, როგორიცაა ინდოეთი, ცენტრალური აზია, ირანი, თურქეთი, ყველა ირანული ცივილიზაციის ნაწილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ რომ მათი უმრავლესობა თურქულის სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობდა, მათი კლასიკური და კულტურული ენა სპარსული იყო. არაბული, რა თქმა უნდა, საღვთო წერილის და სამართლის ენად რჩებოდა, მაგრამ სპარსული პოეზიისა და ლიტერატურის ენას წარმოადგენდა.

ირანული განსაკუთრებულობა

რატომ არსებობს ეს განსხვავება? რატომ მოხდა, რომ როდესაც ერაყის, სირიისა და ეგვიპტის ძველი ცივილიზაციები გაქრა და დავიწყებას მიეცა, ირანული გადარჩა და სახეშეცვლილი ფორმით აღორძინდა?

ამ კითხვაზე მრავალი პასუხი შეიძლება მოიძებნოს. ერთ-ერთის მიხედვით, განსხვავებას განაპირობებს ენა. ერაყის, სირიისა, ეგვიპტის ხალხები არამეულის სხვადასხვა დიალექტებზე ლაპარაკობდნენ. არამეული არაბულის მონათესავე სემიტური ენაა და არამეულიდან არაბულზე გადასვლა გაცილებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე სპარსულიდან, ინდოევროპული ენიდან, არაბულზე. ამ არგუმენტს გარკვეული ძალა აქვს. მაგრამ კოპტური, ეგვიპტის ენა, არ იყო სემიტური ენა და ამას ხელი არ შეუშლია ეგვიპტის არაბიზაციისათვის. კოპტური შემორჩა ქრისტიანებში, თუმცა მათაც კი ის თანდათანობით დაივიწყეს. დღეს ის შემორჩენილია მხოლოდ ლიტურგიული ენის სახით და გამოიყენება კოპტურ ეკლესიაში ღვთისმსახურებისას.

ზოგიერთი ამ განსხვავების წყაროდ მიიჩნევს სპარსელთა უფრო მაღალ კულტურას: უფრო მაღალმა კულტურამ შთანთქა უფრო დაბალი. პარალელის სახით ცნობილი ლათინური სენტენცია მოჰყავთ: დაპყრობილმა საბერძნეთმა დაიპყრო მისი სასტიკი დამპყრობლები – ანუ სხვა სიტყვებით, რომაელებმა გაითავისეს ბერძნული კულტურა. ეს მაცდური, მაგრამ არადამაჯერებელი პარალელია. რომაელებმა დაიპყრეს და მართავდნენ საბერძნეთს, ისინი თაყვანს სცემდნენ ბერძნულ ცივილიზაციას, კითხულობდნენ, თარგმნიდნენ, ახდენდნენ ბერძნული წიგნების იმიტირებას. არაბებს არ უსწავლიათ სპარსული, სპარსელებმა ისწავლეს არაბული. არაბულზე სპარსული ლიტერატურული გავლენა მინიმალური იყო და სპარსელ ახლადმოქცეულებს უკავშირდებოდა.

ალბათ ყველაზე ახლო პარალელი შეიძლება იყოს ის, რაც მოხდა ინგლისში 1066 წელს, ნორმანების მიერ ანგლოსაქსების დაპყრობის შემდეგ და ანგლოსაქსური ენის ტრასფორმაციის შედეგად ნორმანული ფრანგულის გავლენით, რასაც დღეს ვეძახით ინგლისურს. საინტერესო პარალელებია ნორმანთა მიერ ინგლისის დაპყრობასა და არაბთა მიერ ირანის დაპყრობას შორის – ახალი ენა, რომელიც შეიქმნა ძველის განადგურების, გამარტივების და დამპყრობელთა ენიდან სიტყვების უზარმაზარი რაოდენობით სესხების შედეგად; ეს იყო ახალი და ერთიანი იდენტობის შექმნის პროცესი, რომელიც მოიცავდა დამპყრობლებსაც და დაპყრობილებსაც.

ერაყის, სირიისა და ეგვიპტის ხალხების უმრავლესობა ასევე უფრო მაღალი ცივილიზაციის წარმომადგენელი იყო, ვიდრე არაბეთის უდაბნოდან წამოსული დამპყრობლებისა. მაგრამ ისინი არაბებმა შთანთქეს, სპარსელები კი _ არა. მეორე, შესაძლოა უფრო სავარაუდო ახსნა

პოლიტიკური სხვაობაა - ძალაუფლებისა და მეხსიერების ელემენტები. არაბთა მიერ დაპყრობილი ეს სხვა ქვეყნები – ერაყი, სირია, პალესტინა, ეგვიპტე და სხვები იმ დროისათვის უკვე დიდი ხანია დაპყრობილი იყვნენ და სხვა იმპერიების პროვინციებს წარმოადგენდნენ. მათ გამუდმებით იპყრობდნენ. ისინი განიცდიდნენ სამხედრო, შემდეგ პოლიტიკურ, შემდეგ კულტურულ, შემდეგ რელიგიურ ტრანსფორმაციებს დიდი ხნით ადრე, ვიდრე იქ არაბები გამოჩდებოდნენ. არაბულ-ისლამური დაპყრობა ნიშნავდა, ერთი მხრივ, მბრძანებლების და მეორე მხრივ, მოძღვრების შეცვლას კიდევ ერთხელ. საქმე ამგვარად არ იდგა ირანის შემთხვევაში. ირანი ასევე იყო დაპყრობილი ალექსანდრე მაკედონელის მიერ და წარმოადგენდა დიდი ელინისტური იმპერიის ნაწილს – მაგრამ მხოლოდ ხანმოკლე დროის მანძილზე. ირანი არასოდეს დაუპყრია რომს და ამდენად, ელინისტური ცივილიზაციის კულტურული გავლენა ირანზე გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ლევანტის, ეგვიპტისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში, სადაც ის შენარჩუნებული და, გარკვეული თვალსაზრისით, თავსმოხვეული იყო რომაული იმპერიული ხელისუფლების მმმართველობის შედეგად. ელინისტური გავლენა ირანზე ალექსანდრესა და მისი უშუალო მემკვიდრეების დროს უპირობოდ მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ის ნაკლებად სიღრმისეული და ხანგრძლივი გამოდგა, ვიდრე ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე ქვეყნებში და ის დასრულდა ერთდროულად ეროვნული, პოლიტიკური და რელიგიური აღორძინებით, სპარსული სახელმწიფოებრიობის ხელახალი დაბადებით პართიელებისა და სასანიანების დროს. სპარსეთში ახალი იმპერია შეიქმნა, რომელიც თანასწორი და მეტოქე იყო რომის, მოგვიანებით კი ბიზანტიის იმპერიისა.

ეს ნიშნავს, რომ არაბული დაპყრობების დროს სპარსელებს ჰქონდათ უახლესი წარსულის, შეიძლება ითქვას, თანადროული წარსული ძალაუფლებისა და დიდების მახსოვრობა. ეს ძველი დიდების, იდენტობისაგან სიამაყის გრძნობა მეტად მკაფიოდ ჩნდება ისლამური პერიოდის სპარსულ თხზულებებში, რომლებიც იქმნებოდა ისლამურ-სპარსულად არაბული დამწერლობით, დიდი რაოდენობით არაბული ლექსიკით. ჩვენ განსხვავება მრავალი გზით შეიძლება დავინახოთ: ეროვნული ეპიკური პოეზიის შექმნა, რასაც პარალელი არ აქვს ერაყსა და სირიაში, ეგვიპტესა და სადმე სხვაგან; ასევე საკუთარი სახელების არჩევაში. ნაყოფიერი ნახევარმთვარის რეგიონში და უფრო დასავლეთით ბავშვებს ძირითადად ყურანიდან აღებულ და წარმართულ არაბულ სახელებს არქმევდნენ – ‘ალი, მუჰამადი, აჰმადი და ა.შ. ამ სახელებს ირანში სპარსელი მუსლიმებიც გამოიყენებდნენ, მაგრამ დამატებით იყენებდნენ განსხვავებულ სპარსულ სახელებს _ ხოსრო, შაფური, მეჰრიარი და სხვ., რომლებიც ირანის წარსულიდან მოდიოდა. ვერ ნახავთ ერაყელებს, რომლებიც შვილებს ნაბუქოდონოსორს ან სენაქერიბს არქმევენ, ვერც ეგვიპტელებს ტუტანხამონის ან ამენხოტეპის სახელით. ეს ცივილიზაციები განადგურდა და დავიწყებას მიეცა. ამასთან, სპარსული ღირსების გრძნობა ასევე არ ემყარება ისტორიას, რადგან მათი ისტორიაც, ზოგიერთი უახლესი მოვლენის გარდა, დაკარგული და დავიწყებული იყო, არანაკლებ ეგვიპტისა და ბაბილონის ძველი დიდებისა. ყველაფერი, რაც მათ ჰქონდათ, იყო მითი და ლეგენდა; წყვეტილი მახსოვრობა წინაისლამური ირანის ყველაზე ახლო მოვლენებისა და არა უფრო ადრინდელი მოვლენებისა.

ისტორიის ისლამური ხედვა გამოსადეგი იქნება ამის ასახსნელად – რატომ სწავლობს მავანი ისტორიას, რა არის ისტორიის მნიშვნელობა? ისტორია არის იმის ჩაწერა, რაც ღმერთმა ზეგარდმოავლინა კაცობრიობისათვის, მუსლიმისათვის. უპირველესად სუნიტი მუსლიმის თვალთახედვიდან, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოციქულის, მისი თანამებრძოლებისა და და პირველი მართლმორწმუნე ხალიფების სიტყვებსა და საქმეებს, რომლებითაც დადგინდა ჭეშმარიტი სამართალი და მართლზომიერი ქცევის ნორმები. ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს, რომ მნიშვნელობის მქონე ერთადერთი ისტორია მუსლიმური ისტორიაა, და შორეული ადგილების ბარბაროსების, ან წინაპარი ბარბაროსების ისტორიასაც კი არანაირი მორალური თუ რელიგიური ფასულობა არ აქვს; ამდენად, არაა შესანარჩუნებელი. იმ დროისათვის, როდესაც სპარსელებმა ხმა აიმაღლეს, ისლამური დაპყრობების შემდეგ, მათ უკვე „დაკარგული“ ჰქონდათ მეხსიერება, თუმცა, როგორც ამას დავინახავთ, არა სამუდამოდ.

სასანიანთა, ისლამის უშუალო წინამორბედების, წინანდელი ძველი ირანის ისტორია მეხსიერებიდან წაიშალა თანმიმდევრული ცვლილებების შედეგად. ძველი ენა შეიცვალა მუსლიმური სპარსულით, ძველი დამწერლობები დავიწყებას მიეცა და შეიცვალა სპარსული ფონეტიკის მოთხოვნების შესაბამისად მოდიფიცირებული არაბული დამწერლობით. ძველი ენა და დამწერლობა შეინარჩუნა სულ უფრო კლებადმა უმცირესობამ, რომელიც ზოროსტრული რელიგიის ერთგული დარჩა, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. საკუთარი სახელებიც კი, რის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი, დავიწყებას მიეცა, ყველაზე ახლების გამოკლებით. მაგალითად, დავიწყებული იყო კიროსის სახელი, რომელიც უკვე ახალ დროში ძველსპარსელ მეფეთა შორის უდიდესად მოიხსენიება. სპარსელებს ახსოვდათ ალექსანდრეს სახელი ისქანდერის ფორმით, მაგრამ არა კიროსის სახელი. ალექსანდრე უფრო კარგად ახსოვდათ, ვიდრე სპარსელი მეფეები, რომელთა წინააღმდეგაც ის იბრძოდა.

ირანი, ბერძნები და ებრაელები

ის მცირე ინფორმაცია, რაც შემორჩა ძველი ირანის შესახებ, არის ორი ხალხის წერილობითი წყაროების წყალობით – ბერძნებისა და ებრაელებისა. ეს ორი ხალხი ერთადერთი აქტიური ერები იყო, ვინც შეინარჩუნა ძველ ახლო აღმოსავლეთში მასხოვრობა, საკუთარი ხმა და ენები. ბერძნებსაც და ებრაელებსაც ახსოვდათ კიროსი, საპრსელებს კი – არა. ბერძნები და ებრაელები ასევე იძლეოდნენ ძველი ირანის შესახებ ინფორმაციას, რომელიც შედარებით ახალ დრომდე ერთადერთი იყო, როდესაც ორიენტალისტებმა შეძლეს ამ ინფორმაციის მნიშვნელოვნად გაზრდა, ანუ დასავლელმა არქეოლოგებმა და ფილოლოგებმა მონახეს ძველი ტექსტების აღდგენისაა და ძველი დამწერლობების წაკითხვის გზა.

თვალი შევავლოთ ირანის იმიჯს, როგორითაც ის შენახულია ბიბლიასა და ბერძნულ კლასიკურ ტექსტებში, ანუ ბერძნებისა და ებრაელების მიერ. ბერძნული შეხედულება, შეიძლება ვინმე ჩათვალოს, რომ ნიშანდებული იყო ხანგრძლივი ბრძოლებით, რომელიც იწყება სპარსული შემოსევით საბერძნეთში და სრულდება დიდი ბერძნული კოტრშეტევით ალექსანდრეს მიერ. ეს ძველი ბერძნული ისტორიოგრაფიის მთავარი თემაა; კონტრასტი ბერძნულ დემოკრატიასა და სპარსულ ავტოკრატიას შორის ასევე ქმნის ბერძნული პოლიტიკური მწერლობის მნიშვნელოვან თემას. მაგრამ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ეს ისტორია უმთავრესად კონფლიქტის თხრობაა, ძველბერძნული მწერლობის ენა სპარსეთის მიმართ უმეტესწილად პატივისცემის გამომხატველია, ზოგჯერ კი მოხიბლულიც კი. კერძოდ, ამის მაგალითია ექსილეს ტრაგედია „სპარსელები“. ესქილე თვითონ სპარსული ომების ვეტერანი იყო და ის მართლაც მოხიბლულია დამარცხებული სპარსელი მტრით.

ბიბლია ირანის ასევე პარალელის არქმონე პოზიტიურ იმიჯს იძლევა – იმ ლიტერატურაში, რომელიც ჩვეულებრივ კეთილგანწყობა არ ჩანს არც უცხოელის, არც საკუთარი ხალხის მიმართაც კი. სიტყვა სპარსეთის, *პარას*-ის ფორმით ყველაზე ადრეული ხსენება ეზეკიელის წიგნშია, სადაც პარასი შეტანილია ყველაზე ეკზოტიკურ და უცხო სახელებში ქვეყნიერების დასალიერის მისათითებლად: კედელზე წარწერის ამბავი ბელშაზარის ნადიმისას, რომელშიც წარწერა, მენე მენე, ტეკელ უპჰარსინ, იუწყება ბაბილონის მეფის უბედურებას, რომელიც აიწონება სასწორზე და აღმოაჩენს, რომ მის სამფლობელოს გაიყოფენ მიდიელები და სპარსელები.

შემდეგ კი, რა თქმა უნდა, ჩნდება კიროსი, რომელიც განსაკუთრებით ხშირად იხსენიება ისაიას წიგნის ბოლო თავებში – იმ ნაწილში, რომელიც თარიღდება ბაბილონური ტყვეობის შემდეგი პერიოდით. კიროსის მიმართ გამონათქვამები საკვირველზე მეტია. ებრაულ ტექსტში ის ღმერთის რჩეულია და მისი მიმართ უდიდესი პატივისცემაა გამოხატული, რომელსაც ვერ შეედრება არა მხოლოდ არაებრაელი, არამედ თითქმის ყველა ებრაელი მმართველიც.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა – რატომ? რატომ ადიდებს ბიბლია ამ წარმართს? რა თქმა უნდა, არსებობს მკაფიო პასუხი, რომ კიროსი, შეიძლება ითქვას, თავისი დროის ბალფური იყო. მან გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც ებრაელებს საკუთარ მიწაზე დაბრუნების უფლება მიეცათ და აღადგინა მათი პოლიტიკური არსებობა. მაგრამ ეს არ არის სრული პასუხი; ეს უფრო

ხელახლა წამოჭრის კითხვას. რატომ მოიქცა ის ასე? დაპყრობათა სერიამ, დღევანდელი ტერმინები რომ გამოვიყენოთ, მრავალი ეთნიკური ჯგუფი სპარსული მმართველობის ქვეშ მოაქცია. რატომ გადადგა კიროსმა ასეთი ნაბიჯი ერთი კონკრეტული ჯგუფის მიმართ? ჩვენ გვაქვს მხოლოდ ებრაული მხარის ინფორმაცია, არა სპარსული მხარისა და მხოლოდ ვარაუდებით შეიძლება ამ შემთხვევაში ვიმსჯელოთ. შესაძლოა გამოვთქვათ აზრი, რომ ეს იყო სიახლოვის აღქმა ორ სპირიტუალურ, ეთიკურ რელიგიას შორის, რომელთა გარშემოც წარმართი და პოლითეისტი უმეცრები იყვნენ. ამ სიახლოვის დასტური შეიძლება დავინახოთ ძველი აღთქმის უფრო გვიანდელ წიგნებში და მათ მომდევნო ებრაულ თხზულებებში. მაგალითისათვის, შეიძლება დავასახელოთ მრავალი სპარსული წარმომავლობის სიტყვა ბიბლიაში და კიდევ უფრო მეტი პოსტბიბლიურ ებრაულ ლიტერატურაში.

ირანული და ებრაული რელიგიების შეხვედრა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მსოფლიო ისტორიაში. შეგვიძლია დავინახოთ უეჭველი კვალი, როგორც ინტელექტუალური, ისე მატერიალური, პოსტბაბილონიურ იუდევლურ და შემდგომ ქრისტიანულ სამყაროში, და შესაბამისი ზეგავლენა გვიანდელ ბერძნულ-რომაულ და ბიზანტიურ სამყაროზე, და აქედან გამომდინარე, უეჭველად ევროპაზე.

ჩამოვთვალოთ რამდენიმე მაგალითი, პირველ რიგში პრაქტიკული ხასიათისა. ადრეული არაბული წყაროები გვამცნობენ, რომ სპარსელებმა გამოიგონეს ახალი საგანი ცხენოსნობისათვის, რომელსაც დეზები ქვია და რაც მანამდე უცნობი იყო. ადვილად შევამჩნევთ, რომ ამ საგანმა, რომელმაც რევოლუციური გზით გარდაქმნა ტრანსპორტი, კომუნიკაციები და ასევ სამხედრო საქმე, უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე. ცხენოსან მეომარს აბჯარასხმული ცხენით და შუბით გაცილებით უფრო მეტის მოტანა შეეძლო დეზების დახმარებით, ვიდრე მათ გარეშე, როდესაც მას მუდმივად ემუქრებოდა ცხენიდან ჩამოგდება. ბიზანტიურ მწერლობაში არაერთი ცოცხალი აღწერილობა ამგვარი მეომრების შემძლეობისა.

დეზებმა სპარსელებს ასევე გაუწია დახმარება საფოსტო სისტემის შექმნაში. მათი სისტემა, რომელსაც აღტაცებით აღწერენ ბერძნები, წარმოადგენდა კურიერებისა ქსელსა და საფოსტო სადგურების სისტემას იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. ის ცნობილი იყო არაბულად, როგორც ბარიდი, რაც უეჭველად მომდინარეობს სპარსული ზმნიდან *ბორდან* (წაღება). საფოსტო ცხენს ეწოდებოდა *პარავერედოს*, რომლიდანაც მომდინარეობს გერმანული Pferd. კიდევ ერთი ირანული გამოგონებაა წისქვილი (თუმცა ამის შესახებ სხვა მოსაზრებებიც არსებობს) – ქარისა და წყლის გამოყენება ძალის გამოსამუშაველად. ეს იყო პირველი და ათასწლეულის მანძილზე ენერგიის ერთადერთი წყარო, გარდა ადამიანისა და ცხოველის ძალისა.

კიდევ ერთი სფერო, როლეშიც გამოგონებები ირანს უკავშირდება, არის მაგიდის თამაშები, განსაკუთრებით ჭადრაკი (ეს ინდური გამოგონება ირანში დაიხვეწა და ირანის გზით გავცელდა ევროპაში), რომელშიც დღესაც გამოიყენება სპარსული სიტყვები (შაჰი), ასევე ნარდი, რომელიც სხვადასხვა სახელებითაა ცნობილი (ტრიკ-ტრაკი, შიშბეში და ა.შ).

ახლა მყარ ნიადაგზე ვდგავართ სპარსელების აღწერაში და აქ უნდა დავუბრუნდეთ კულტურული ისტორიის თემას. ესაა წიგნი, ანუ წიგნი კოდექსის (ხელნაწერი წიგნის) ფორმით. ბერძნულ-რომაულ სამყაროში იყენებდნენ გრაგნილებს, ისე როგორც ახლო აღმოსავლეთში. კოდექსი, აკინძული და ყდიანი ფორმით, როგორიც დღეს წიგნია, როგორც ჩანს, დასაბამს ირანში იღებს. ამგვარი გამოგონების კულტურული მნიშვნელობა უპირობოდ განუზომელია.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმას, რაც უეჭველად უფრო მნიშვნელოვანი თემაა. ირანიდან, ირანული რელიგიიდან მოდის კონცეფცია თითქმის თანაბარძალოვანი სიკეთისა და ბოროტების კოსმიური ბრძოლისა. ეშმაკის, სატანის ცნება, როგორც ვიცით, ირანიდან იღებს სათავეს. ბოროტის ძალაუფლების იდეა, რომელიც კეთილს უპირისპირდება და თითქმის მისი თანაბარი ძალისაა, ძველი სპარსული რელიგიის დამახასიათებელი ნიშანია. აჰრიმანი სატანის, მეფოსტოფელის წინამორბედია (სხვა სახელებსაც ვირჩევთ მისთვის). ამასთან დაკავშირებული იყო განკითხვის, სამსჯავროს და რევოლუციის, ზეცის და ქვესკნელის იდეა. აქვე გავიხსნოთ,

რომ ევროპული Paradise ასევე სპარსული სიტყვაა. *პარა* იგივეა, რაც ბერძნული *პერი*, *პერიდეოსი* ძველ სპარსულად, რაც ნიშნავს კედლებით შემოსაზღვრულ სივრცეს.

მესიანიზმშიც შესაძლოა დავინახოთ სპარსული კვალი – ზოროასტრის წმინდა შთამომავლობიდან ქვეყნიერების დასასრულის დროს მავანი გამოჩნდება, რომელიც სიკეთით აღავსებს ქვეყნიერებას. ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ მესიანური იდეა ებრაულ ბიბლიაში ჩნდება მხოლოდ ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, ანუ იმ დროიდან, რომლიდანაც ებრაელები განიცდიან სპარსულ გავლენას. მესიანიზმის მნიშვნელობა იუდევლურ-ქრისტიანულ ტრადიციაში უაღრესად მკაფიოა. ამ იდეასთან კავშირში რელიგიური ინსტიტუციონალიზაციის იდეა და პრაქტიკა – სასულიერო წოდების იერარქია, რომლის სათავეშიც მთავარი, ქურუმთ ქურუმი – მობედან მობედი დგას. ამასთან ერთად, ამ ტიტულის ფორმა ქურუმთ ქურუმი, მეფეთ მეფე, ასევე დამახასიათებელია ირანისათვის. ის ძველ დროში მრავალ ირანულ ტიტულში გამოიყენებოდა. ეს გაითავისა არაბულმაც: ამირ ალ-უმარა – ამირების ამირა, კადი ალ-კუდათ – ყადების ყადი. შესაძლოა რომის პაპის ტიტულიც – ღმერთის მსახურთა მსახური – Servus Servorum Dei – შეიძლება აღიწეროს, როგორც არაპირდაპირი ირანული გავლენის მქონე. ეკლესიის იდეაც, არა შენობის და ღვთისმსახურების ადგილის, არამედ უზენაესი მეთაურის ხელმძღვანელობით ინსტიტუტისა, ასევე შეიძლება დავუკავშიროთ ზოროასტრულ მაგალითს.

ირანის ძველმა რელიგიამ არსებობა შეინარჩუნა. ზოროასტრიზმი ისევ არის პატარა, სულ უფრო კლებადი, მაგრამ არა უმნიშვნელო უმცირესობის რელიგია ინდოეთში, პაკისტანში, და ზოგან ირანშიც. მათ შეინარჩუნეს ძველი თხზულებები, ძველი დამწერლობით და ძველი ენაც – სწორედ ამან მისცა პირველ ევროპელ ორიენტალისტებს საშუალება ესწავლათ საშუალო სპარსული და მისი საშუალებით აღმოეჩინათ ირანის კიდევ უფრო ძველი ენები.

ირანი და შიიზმი

უკვე ათასწელზე მეტია, რაც ირანი ასოცირებულია ისლამთან და უფრო ნაკლები დროის მანძილზე შიიტურ ისლამთან, რომელშიც ზოგი ხედავს სპარსული ნაციონალური გენიის გამოვლენასა და აღდგენას ისლამურ სამოსში. ზოგიერთი კიდევ უფრო შორს მიდის – XIX საუკუნის ევროპელი მეცნიერები, მაგალითად გობინო, შიიზმის ტრიუმფს მიიჩნევენ ირანული არიანიზმის აღორძინებად ისლამის სემიტიზმის წინააღმდეგ. ამგვარმა იდეებმა საფუძველი დაკარგა დღეს, თუმცა ერთ დროს ისინი პოპულარული იყო და დღესაც ჰყავს მიმდევრები.

ამგვარი თეორიების სირთულეს შეადგენს ის, რომ შიიზმი, ისე როგორც საკუთრივ ისლამი, ირანში შემოიტანეს არაბებმა. ირანის პირველი შიიტები (და ასე იყო დიდი ხნის მანძილზე) არაბები იყვნენ. ქალაქი ყუმი, ირანული შიიზმის ცენტრი და ბურჯი, არაბული წარმომავლობისაა და მისი პირველი მოსახლენი არაბები იყვნენ. (ბერნარ ლუისი იხსენებს ყუმის შემოგარენში მოგზაურობას, როდესაც სპარსელმა მეგობარმა უდაბნოზე მიუთითა და შენიშნა: "არაბის გარდა ვინ ააშენებდა ქალაქს ამგვარ ადგილზე?"). შიიზმი ხელახლა შემოიტანეს და დააამკვიდრეს სეფიანებმა მრავალი საუკუნის შემდეგ და ისინი, როგორც ვიცით, თურქული წარმომავლობისა იყვნენ. მანამდე ირანი არსებითად სუნიტური ქვეყანა იყო. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ სეფიანთა შიიტური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ახალი ერა დაიწყო, გამორჩეული ირანული შიიტური ხასიათით.

სეფიანთა ზეასვლა სპარსეთის ისტორიაში ახალი ერის დადგომის მაუწყებელია; იქმნება, პირველად მრავალი საუკუნის მანძილზე, ერთიანი დინასტიური სახელმწიფო. სეფიანებმა ზოგიერთ ახალ მოვლენას ჩაუყარეს საფუძველი. პირველია ერთიანობა. პირველი არაბი დამპყრობლების დროს მთლიანად ირანი ერთიანი მმართველობის ქვეშ იყო – ხალიფებისა ჯერ მედინიდან, შემდეგ დამასკოდან და ბაღდადიდან. მაგრამ სახალიფოს დაშლის შემდეგ, ირანი დაიყო მრავალ რეგიონად, რომელთაც ესა თუ ის ლოკალური მმართველები ედგნენ სათავეში. სეფიანებმა პირველად შექმნეს ერთიანი ირანის ტერიტორია, რომელიც მეტნაკლებად დღევანდელ საზღვრებს ემთხვევა – არა მხოლოდ სხვადასხვა რეგიონები, ფარსი, ხორასანი თუ სხვები, არამედ ერთიანი სამფლობელო ერთადერთი მმართველით. ასე დარჩა დღემდე,

მიუხედავად უკიდურესი ეთნიკური მრავალფეროვნებისა, რითაც ხასიათდება ამჟამინდელი ქვეყანა. თუ შევხედავთ, მაგალითად პერიფერიებს და დავიწყებთ ჩრდილო-დასავლეთიდან, აქ არიან თურქულად მოლაპარაკე აზერბაიჯანელები, მათ სამხრეთით ცხოვრობენ ქურთები, კიდევ უფრო სამხრეთით ჭარბობენ თურქები, ყაშყაელები, ქვემოთ, ხუზესთანში – არაბები, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ბელუჯები და შემდეგ თურქმანები. ეს ყველაფერი ქმნის ცენტრის გარშემო პერიფერიას ხალხებისა, რომლებიც ლაპარაკობენ სხვადასხვა არაირანულ ენებზე. თუმცა, სპარსული ენის კულტურამ და ისლამის განსხვავებულმა შიიტურმა ვერსიამ შექმნა იმ ერთობის შენარჩუნების საშუალება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს სეფიანებმა და რომელიც შეინარჩუნეს მათმა მემკვიდრეებმა.

შიიზმმა შექმნა მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ეს არის გამოცალკევება ყველა მეზობლისაგან: დასავლეთით ოსმალოებისაგან, ჩრდილო-აღმოსავლეთით – ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისაგან, სამხრეთ-აღმოსავლეთით ინდოეთის სახელმწიფოებისაგან. პრაქტიკულად, ყველა ეს სახელმწიფო სუნიტური იყო. მართალია, სპარსული, როგორც კლასიკური ენა, გამოიყენებოდა სალიტერატურო ენად და ზოგჯერ დიპლომატიური ენადაც ამ სამივე მეზობლის მიერ, მაგრამ სუნიტურ და შიიტურ სამფლობელოებს შორის ფუძემდებლური განსხვავება რჩებოდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, განსაკუთრებით გვიანდელი სეფიანებისა და მათი შემდგომი მმართველების დროს, ირანის ცნების წარმოქმნა. ჩვენ აქამდე ვხმარობდით სპარსეთსა და სპარსელებს ქვეყნისა და ხალხის აღსანიშნავად, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო დასავლურ ენებში უახლეს ხანებამდე. სახელწოდება *ირანი* ძველია, მაგრამ მისი გამოყენების დანერგვა შედარებითა ახალია. პირველად მას ვხვდებით ძველ სპარსულ წარწერებში. მაგალითად, დარიოსის წარწერაში ძველსპარსულ ენაზე, ის საკუთარ თავს უწოდებს არიანთა მეფეს. ირანი იგივე სიტყვაა, რაც არიანი. ის ნიშნავს 'კეთილშობილს' ირანისა და ინდოეთის ძველ ენებზე. მეფე იყო Arianum მეფე, რაც არიანთა მეფეს ნიშნავს ნათესაობითი ბრუნვის მრავლობითში. ის შემორჩა მითებსა და ლეგენდებში ადრეულ შუა საუკუნეებში, შაჰ–ნამესა და სხვა მსგავს თხზულებებში ირანისა და თურანის დიდი ბრძოლის შესახებ. ის ისევ გამოჩნდა XIX საუკუნეში ქვეყნის აღსანიშნავად, მაგრამ ნაკლებად გამოიყენებოდა ოფიციალურ დონეზე. მან ოფიციალური სტატუსი მიიღო გაცილებით გვიან და ეს შეიძლება დავუკავშიროთ მესამე რაიხის გავლენას. გერმანიის იმდროინდელმა მთავრობამ, რომელსაც ირანის მხარდაჭერა და დახმარება ჭირდებოდა, დიდი ძალისხმევა მოანდომა ამ ქვეყნის ხალხის დარწმუნებას, რომ ისინი იყვნენ ირანელები, რაც იგივე არიელებია, და ამდენად, განსხვავდებოდნენ მეზობლებისაგან, იდგნენ მათზე მაღლა; შესაბამისად, ნიურნბერგის კანონები მათ არ ეხებოდათ.

კიდევ ერთ გადამწყვეტ მომენტზე შევჩერდეთ – ისლამურ რევოლუციაზე და ისლამური რესპუბლიკის შექმნაზე. ეს მართლაც რევოლუცია იყო. უახლეს ხანაში სიტყვა რევოლუცია ხშირად გამოიყენებოდა ახლო აღმოსავლეთში სახელმწიფო გადატრიალებების, სასახლის შეთქმულებების, მკვლელობების, სამოქალაქო ომების და ა.შ. აღსანიშნავად. მაგრამ ირანში რაც მოხდა, ცუდია ეს თუ კარგი, მართლაც რევოლუცია იყო იმ მნიშვნელობით, რითაც რევოლუციები იყო საფრანგეთისა და რუსეთის რევოლუციები, და მათ მსგავსად ირანულ რევოლუციას უზარმაზარი გავლენა ჰქონდა ყველა იმ ქვეყანაზე, რომელთანაც დისკურსის საერთო სამყარო აქვს, ანუ, სხვა სიტყვებით, ისლამურ სამყაროზე.

როგორც ამ უფრო ადრინდელი რევოლუციების შემთხვევაში, არსებობს საპირისპირო მოსაზრებები ირანში ისლამური რევოლუციის შესახებ. ერთი თვალსაზრისით, მოქმედებამ და განცხადებებმა ირანის, შესაძლოა ისლამისაც კი, სახელი აქცია სისხლიანი რეჟიმის აღმნიშვნელად, რომელიც შენარჩუნებულია ტირანიით ქვეყნის შიგნით და ტერორით ქვეყნის შიგნით და გარეთ. მეორე თვალსაზრისით კი, ეს იყო ალტერნატიული გზა რეგიონის გადაუჭრელი პრობლემების მოსაგვარებლად – ანუ ყოველივე უცხოზე უარის თქმა და ავთენტურ საფუძვლებთან შემობრუნება.

დღეისათვის, როდესაც დასრულებულია როგორც გარეშე ძალების დომინირება, ისე ზეგავლენა რეგიონში, ისევ წინაა წამოწეული რეგიონის ორი უდიდესი სახელმწიფო, ამჯერად თურქეთის რესპუბლიკა და ირანის ისლამური რესპუბლიკა. XVI საუკუნეში ორი უმთავრესი ძალა, რომელთაც წარმოადგენდნენ ოსმალეთის სულთანი და სპარსეთის შაჰი და რომლებიც ისლამის სუნიტურ და შიიტურ ვერსიებს ერთგულობდნენ, იბრძოდნენ ისლამურ სამყაროში პირველობისათვის.

ათასი წლით ადრე, VI საუკუნეში, იგივე ქვეყნები, ორი მეტოქე, ბიზანტიელი იმპერატორები და სასანიანები განასახიერებდნენ ორ მეტოქე ცილიზაციას და სამყაროს ორ ხედვას. როგორც სასანური, ისე ბიზანტიის სახელმწიფოები დაიპყრო და შთანთქა ისლამმა. როგორც ოსმალო სულთნები, ისე სეფიანი შაჰები ჩამოაშორეს ხელისუფლებას ახალმა ძალებმა როგორც შიგნიდან, ისე გარედან.

დღეს მეტოქე ორი რეჟიმია, ორივე შექმნილი რევოლუციის შედეგად, ორივე იდეოლოგიური საფუძვლის მქონე – სეკულარული დემოკრატია თურქეთში და ისლამური თეოკრატია ირანში. უფრო ადრე არცერთი არ იყო დაცული მეორის ზეგავლენისაგან. დღეს თურქეთში ჩვენ ვხედავთ რელიგიურ პარტიებს, რომლებიც დიდი რაოდენობით ხმებს იღებენ თავისუფალ არჩევნებზე და მნიშვნელოვან, სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკაში. ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენ ირანელს სურს სეკულარული დემოკრატიის დამყარება, რადგანაც ისლამური თეოკრატიაში ამგვარი ნების გამოხატვა აკრძალულია. მაგრამ სხვადასხვა გზით დასტურდება, რომ მათი რიცხვი ანგარიშგასაწევია.

ბრძოლა გრძელდება ამ ორი ქვეყნის შიგნით და ყველგან სხვაგან, ორ სხვადასხვა ვერსიას შორის, რომელიც თავდაპირველად ერთიანი ცივილიზაცია იყო. შედეგის შესახებ ლაპარაკი ნაადრევია.